ეროვნული ბიბლიოთეკა

# პარტია—ხალხთან, ხალხი—პარტიასთან!

## საინფორმაციო ცნობა

## სკკპ XXII ყრილობის შესახებ

25 ოქტომბერს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXII ყრილობა.

დილის სხდომაზე ყრილობას მიესალმნენ საზღვარგარეთის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები ამხანაგები: ხესუს ფარია — ვენესუელის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, კნუდ ესპერსენი — დანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე, პაულ დე გროსტი — ნიდერლანდის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჰილბერტო ვიეირა — კოლუმბიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მდივანი, ლორენს შარკი — ავსტრალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი, ნიკოლა შაუი — ლიბანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, რომლებსაც დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ.

შემდეგ ყრილობა განაგრძობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების განხილვას. სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ვ. ა. სმირნოვი — ს. ორჯონიკიძის სახელობის ბალტიისკის ქარხნის გემთამწყობი (ლენინგრადის პარტორგანიზაცია), ი. ი. ბოდიული — მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ვ. კროტოვი— ურალის მანქანათსაშენებელი ქარხნის დირექტორი (სვერდლოვსკის პარტორგანიზაცია), ზ. ნ. ნურიევი — სკკპ ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ა. კოლჩიკი — ტრესტ „ჩისტიაკოვის ანტრაციტის" ლუტუგინის სახელობის შახტის საწმენდი სანგრევის მუშათა ბრიგადირი (სტალინოს პარტორგანიზაცია), ფ. ნ. პეტროვი — პარტიის წევრი 1896 წლიდან (მოსკოვის საქალაქო პარტორგანიზაცია).

სალამოს სხდომას მიესალმნენ საზღვარგარეთის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები ამხანაგები: პიტერ კეინემანი — ცეილონის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ალი იატა—მაროკოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მარტინეს ვერდუგო — მექსიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ეზეკიას პაპაიოანუ — კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის გენერალური მდივანი, პედრო საადი — ეკვადორის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, რეზა რადმანეში — ირანის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რომლებსაც დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ.

ყრილობა განაგრძობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენების განხილვას. სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ი. ა. კაიროვი — რუსეთის სფსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ა. ა. გრომიკო — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, პ. ა. სატიუკოვი — გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორი.



სკკპ XXII ყრილობა. ხ უ რ ა თ ზ ე: ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, ზ. ა. გეგეშიძე, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, შ. ი. შანუყვაძე საქართველოს კომპარტიისაგან წარგზავნილ დელეგატთა შორის.
ფოტო ი. დავითაშვილისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 226 (12160) | ხუთშაბათი, 26 ოქტომბერი, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

## ფოლადი ემსახურება კომუნიზმს

„პარტიის XXII ყრილობის სახელობის ღუმელი" — ასეთი წარწერა ორი დღეა გაჩნდა ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს № 1 ღუმელის წინა ხედზე.

და ეს შემთხვევითი როდია. ღუმელის კოლექტივმა პირნათლად შეასრულა თავისი სიტყვა, რომ XXII ყრილობისათვის ნაკისრი ვალდებულების ზევით ათასობით ტონა ფოლადს გამოუშვებდა.

ოთხი კომუნისტური შრომის ბრიგადიდან ერთ-ერთს ხელმძღვანელობს კომუნისტი მეფოლადე გ. ბერიკაშვილი. მან 12 ოქტომბრიდან თვის ბოლომდე დარჩენილი დრო საყრილობო ვახტის დღეებად გამოაცხადა და ყოველდღიურად მძიმეწონიანი ნადნობის გამოშვება იკისრა.

სამართავ პულტთან დგას მეფოლადე. მისი მოუსვენრობა ძალაუნებურად იპყრობს ყურადღებას. აი გაიკეთა სათვალე და შეიხედა საკაზმე მულდში. თუმცა ანალიზები ჯერ არ მოუტანიათ, მაგრამ მაინც შეიძლება გაშვება, — გაიფიქრა თავისთვის და ის იყო სათანადო განკარგულება უნდა გაეცა, რომ ტელეფონის წკრიალი გაისმა:

ლითონის შემადგენლობა სავსებით შეესაბამება დაწესებულ ნორმას, — იყო დასტური ლაბორატორიიდან.

გრიგოლმა საათს დახედა. ჯერ კიდევ 20 წუთი დრო იყო. ესეც ასე. ამ დროს ღუმელის შემდგომი გაწყობისათვის გამოვიყენებ, ახლა კი...

— გავუშვათ!

თანაშემწეები თვალისდახამხამებაში გასაშვებ ხვრელთან არიან. წუთი, და ღუმელიდან ნიაღვარივით წამოვიდა ალვარდნაფებული ფოლადი.

### ყრილობის სახელობის ბრიგადაში

თანდათანობით ივსება ციცხვები. ლარებიც დაცარიელდა ცეცხლოვანი ლავებისაგან. გრიგოლი კვლავ საათს დახედავს — აქაც 20 წუთის ეკონომია.

— შევუდგეთ ღუმელის ხელმეორედ გაწყობას, — იძლევა ახალ განკარგულებას ბრიგადირი...

დნობა ჩქაროსნულია.

იწურება სამუშაო დრო — ახლა უკვე საინტერესოა მუშაობის შედეგი:

— მაშ ასე, — მიმართავს გრიგოლი ბრიგადის წევრებს, — პირობა იმის შესახებ, რომ მიგვეცა ჩქაროსნული დნობა და გამოგვეშვა მძიმეწონიანი ფოლადის ნადნობი, განაღდებულია. იმავე დღეს საამქროში გაკრულ იქნა ფურცელი „ელვა".

„გრიგოლ ბერიკაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელიც პარტიის XXII ყრილობის სახელს ატარებს, დნობა ჩქაროსნული მეთოდით განახორციელა და გეგმის ზევით გამოუშვა 225 ტონა მძიმეწონიანი ნადნობი". ეს სარეკორდო მაჩვენებელია.

თავმდაბალმა, ცეცხლთან დაძმობილებულმა მეფოლადემ ამის შესახებ თქვა:

— ეს ნამდვილად პატარა საჩუქარია იმ მშობლიური პარტიისათვის, რომელიც მუდამ ზრუნავდა და ზრუნავს საბჭოთა ადამიანის ნათელი მომავლისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ჩვენ რუსთაველი მეფოლადეები არ დავიშურებთ ძალასა და ენერგიას ახალი წარმატებების მოსაპოვებლად, იმისათვის, რომ ჩვენი შრომით ვასახელოთ დედასამშობლო. განსაკუთრებით ბევრი მოგვეთხოვება ჩვენ —კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრებს. ჩვენ კარგად გვაქვს შეგნებული, რომ არ კმარა საწარმოო გეგმების შესრულება, საჭიროა ამასთან ერთად იყო კარგი ამხანაგი, კარგი მოქალაქე წმინდად ატარებდე საბჭოთა საზოგადოების წევრის სახელს, იყო სანიმუშო ყოფაცხოვრებაში, სისტემატურად იმაღლებდე ცოდნის დონეს, არ ჯერდებოდე მიღწეულს.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

## ჩვენი საჩუქრები პარტიას

### უპატაკებენ ყრილობას

აღფრთოვანებული ვართ პარტიის XXII ყრილობაზე ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის გამოსვლით, რომელმაც მსოფლიოს წინაშე გადაშალა კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა, ჩვენ, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" კომუნისტური შრომის ბრიგადების წევრები, გაცნობებთ, რომ ჩვენმა ბრიგადებმა წინასაყრილობო სოციალისტური ვალდებულებანი პირნათლად შეასრულეს. ჩვენ ერთსულოვნად ვიწონებთ კომუნისტური პარტიის ლენინურ კურსს და ქართველი ფეიქრის სალამს ვუძღვნით კომუნიზმის მშენებელი ყრილობის ყველა მონაწილეს.

კომბინატის კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელები: გ. კრაწაშვილი, ა. ჩიქოვანი, გ. ხარიტონაშვილი, ვ. ქემაშვილი, ზ. მაღულარია.

თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვების" № 1 საამწყობო საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები გულითადად მიესალმებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დელეგატებს და უპატაკებენ, რომ ყრილობის გახსნის დღიდან ბრიგადა მუშაობს დაზოგილ ნედლეულზე, რომლისგანაც დამატებით დავამზადებთ 300 მაგნიტურ ელექტროგამშვებს.

ციცინო ცერცვაძე,
კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

### წინსვლა, გამარჯვება

ამ დღეებში დიდი შრომითი აღმავლობაა წალენჯიხის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მშრომელთა ხალხმრავალ მიტინგებზე და კრებებზე გულდასმით განიხილავენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ღრმაშინაარსიან, შთამაგონებელ მოხსენებებს პარტიის XXII ყრილობაზე და სახავენ ახალ წარმატებათა მოპოვების გზებს.

სოფელ ნაკიფუს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ლუკავამ კოლმეურნეთა კრებაზე განაცხადა:

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებებმა ფართო ჰორიზონტი გადაშალა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის. სასიხარულოა, რომ ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნისტურ საზოგადოებაში. ჩვენ ხვალ უკეთესად ვიმუშავებთ, ვიდრე დღეს, ზეგ კი უფრო კარგად.

დიდი აღფრთოვანება გამოხატა თავის სიტყვაში ცნობილმა მესიმინდემ შალვა ბელქანიამ, როცა თქვა:

ჩვენ შესანიშნავ დროში ვცხოვრობთ. მშობლიური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ყოველდღიურად ვიზრდებით, ვძლიერდებით. შრომა სულ უფრო ხდება საამური ცხოვრების წყარო.

### წარმატებათა გზით

ოჩამჩირის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მეურნეობის კომბინატმა პირნათლად გაანაღდა სკკპ XXII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, 9 თვეში შეასრულა ფართო მოხმარების საგნების წარმოების წლიური გეგმა, შრომის ნაყოფიერება გაზარდა 20 პროცენტით. კომბინატმა სახელმწიფოს ზეგეგმური მოგების სახით მისცა 10 ათასი მანეთი და გასწია 31 ათასი მანეთი ხელფასის ფონდის ეკონომია.

მ. ჭომჭუა.

### სიხარული, აღტაცება

ორჯონიკიძე. რაიონის 51 სოფელში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები, მიძღვნილი სკკპ XXII ყრილობისადმი. მშრომელები ერთხმად იწონებენ მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნულ პოლიტიკას, რომელსაც ლენინური ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს.

მიტინგების შემდეგ კოლმეურნეები დეპეშით აცნობებენ ყრილობას თავიანთ შრომითს მიღწევებს. კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს ხილის შესყიდვის წლიური დავალება. სულ მალე შესრულდება ყურძნის შესყიდვის გეგმაც.

სოფელ ლაშის მოწინავე მევენახემ გ. გელაშვილმა პარტიის XXII ყრილობას ახალი გამარჯვება უპატაკა,—ჰექტარზე მოკრიფა 188 ცენტნერი ყურძენი. ხოლო მისმა თანასოფლელმა ა. მაჭავარიანმა საშუალოდ ერთ ძროხაზე მიიღო 2.150 ლიტრი რძე.

მიტინგები გაიმართა კიცხის, ლაშის, ხიდრის, ბორითის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.



საგარეჯოს რაიონის სართიჭალის მერძეველობა-მეზოხტნეობის საბჭოთა მეურნეობის ზოოტექნიკოსი (მარცხნივ) ლ. ხომასურიძე და მწველავი გ. კვაჭანტირაძე ეცნობიან სკკპ XXII ყრილობის მასალებს. ფოტო გ. გოგოხიასი.

## მოწინავეთა გამოცდილება—მასებს

### საცდელ-საჩვენებელი მეურნეობების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი კარალეთში

გორი. (სპეც. კორ.). სოფელ კარალეთის კლუბში თავი მოიყარეს რესპუბლიკის საცდელ-საჩვენებელი მეურნეობების მთავარმა აგრონომებმა და ზოოტექნიკოსებმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკებმა. ამ თათბირზე ისინი იმისათვის შეიკრიბნენ, რომ ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი მუშაობის გამოცდილება, რაც სულ მოკლე ხანში შეიძინეს. ისინი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებებს მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობაზე.

თათბირზე ვრცელი შესავალი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ბ. იაკობაშვილი. იგი თათბირის მონაწილეებს ესაუბრა იმ დიდ როლსა და ამოცანებზე, რასაც პარტია და საბჭოთა მთავრობა აკისრებს საცდელ-საჩვენებელ მეურნეობებს.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს გორის რაიონის კარალეთის, ზუგდიდის რაიონის რუხის, სტალინირის რაიონის ერედვის, ბათუმის რაიონის ახალშენის და ყვარლის საცდელ-საჩვენებელი მეურნეობების მთავარი აგრონომების — შ. ხუცაშვილის, მ. დოჩიას, ე. მელქოევას, ქ. მიხაილიდისა და ი. ბუიშვილის ინფორმაციული ხასიათის მოხსენებები, თათბირის მონაწილეებს მოუთხრეს იმ მუშაობაზე, რაც მათ განვლილ პერიოდში ჩაატარეს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: საჩხერის საცდელ-საჩვენებელი მეურნეობის მთავარმა აგრონომმა ს. ჭიხორიამ, ლანჩხუთის საცდელ-საჩვენებელი მეურნეობის მთავარმა აგრონომმა ა. კვაჭაძემ, სიღნაღის რაიონის ტიბაანის საცდელ-საჩვენებელი მეურნეობის მთავარმა აგრონომმა გ. აბრამიშვილმა, აკადემიკოსმა ნ. ხომიზურაშვილმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცნიერების მიღწევების დანერგვისა და პროპაგანდის სამმართველოს უფროსმა გ. ბადრიშვილმა და სხვ.

თათბირზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. მ. კუჭავა.

საცდელ-საჩვენებელი მეურნეობების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით თათბირზე მიღებულ იქნა სათანადო ღონისძიება.

### შენთვის, სამშობლოვ!

ყაზბეგის რაიონმა 20 ოქტომბერს გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმები. ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 106 პროცენტით, რძისა — 101 პროცენტით, მატყლისა — 101 პროცენტით. (საქდესი).

## არჩევნების შემდეგ თურქეთში

ნიუ-იორკი. (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან იუწყება, თურქეთის პოლიტიკური ლიდერები სამხედრო წრეების ზეგავლენით დათანხმდნენ შედგეს ეროვნული ერთიანობის მთავრობა და გენერალი ჯემალ გიურსელი წამოყენებულ იქნას ერთადერთ კანდიდატად რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტზე.

## საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXII ყრილობა

პარტიის პროგრამის განხორციელებაში დიდ წვლილს შეიტანენ რუსეთის ფედერაციის მშრომელები. ამხ. პოლიანსკი დაწვრილებით შეეხო რესპუბლიკის სამეურნეო და საბჭოთა მშენებლობის საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია უახლოეს ოცწლეულში ეკონომიკის განვითარების დიდებული პერსპექტივების შესრულებასთან. მას მოჰყავს შემდეგი მკაფიო ციფრები. რუსეთში აშენდება 300-ზე მეტი მძლავრი თბოელექტროსადგური და ჰიდროელექტროსადგური, ელექტროენერგიის გამომუშავება გადიდდება ათჯერ და მიაღწევს ორ ტრილიონ კილოვატსაათს, ნავთობის მოპოვება გადიდდება ოთხჯერ და მეტად, გაზისა — 14-ჯერ, ფოლადის გამოდნობა — ოთხჯერ, შავი მეტალურგია 1,7-ჯერ გადააჭარბებს ამერიკის შეერთებული შტატების მთელი მეტალურგიის ახლანდელ დონეს.

განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით განვითარდება ქიმიური მრეწველობა. მისი პროდუქცია 12-13-ჯერ გადიდდება. კოლოსალურ მასშტაბებს მიაღწევს მანქანათმშენებლობა.

ძირს ხაფუძველი განვაცხადოთ, რომ შვიდწლიან გეგმას რესპუბლიკა ვადამდე შეასრულებს. ჩვენი ქვეყანა გეგმის გადამეტებით მიიღებს დაახლოებით 13 მილიონ ტონა ფოლადს, 10 მილიონ ტონა ნაგლინს, 30 მილიონ ტონა ნავთობს.

შეეხო რა ნაკლოვანებებს მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობაში, ამხ. პოლიანსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ცხოვრება მოითხოვს ამაღლდეს გეგმების მეცნიერულად დასაბუთების დონე. თვითეული საწარმოსა და მშენებლობის, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროსა და უწყების მუშაობის დაკვირვებული ანალიზი ხელს შეგვიწყობს გამოვავლინოთ ახალი გამოუყენებელი შესაძლებლობანი.

შემდეგ ამხ. პოლიანსკი შეეხო მშენებლობის პრობლემებს და აღნიშნა, რომ თუმცა ახლა ჩვენ ვაშენებთ უკეთ და უფრო სწრაფად, ვიდრე წინათ, მაგრამ ამ საქმეში არის დიდი ნაკლოვანებანი. სერიოზულად ჩამორჩება სამშენებლო ბაზა, ზოგიერთი სახალხო მეურნეობის საბჭო ვერ ახერხებს გამოყოფილი სახსრების ათვისებას. ამასთანავე ბევრი ადგილობრივი მუშაკი ზედმეტი გულმოდგინებით ცდილობს მიაღწიოს ასიგნობათა გადიდებას ახალი ობიექტებისათვის და სერიოზულ ყურადღებას არ აქცევს წამყვან და ასამუშავებელ მშენებლობათა დამთავრებას. ყოველივე ეს იწვევს სახსრების, მატერიალური და შრომითი რესურსების დაქსაქსვას მრავალრიცხოვან ობიექტებზე, აძნელებს მშენებლობის ტემპებს.

რესპუბლიკაში, ამბობს ამხ. პოლიანსკი, ახლა ხორციელდება ღონისძიებანი, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ დავაჩქაროთ სამშენებლო ბაზის განვითარება, აღმოვფხვრათ სახსრების დაქსაქსვა და რაც შეიძლება მალე დავამთავროთ წამყვანი და ასამუშავებელი მშენებლობანი, შევამციროთ მშენებლობის ღირებულება და გავაუმჯობესოთ მისი ხარისხი, გამოვიყენოთ მოქმედ საწარმოთა გაფართოების და რეკონსტრუქციის შესაძლებლობანი.

რუსეთის ფედერაცია იძლევა სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების მთელი წარმოების ნახევარზე მეტს. 1953 წლის შემდეგ, აცხადებს ამხ. პოლიანსკი, რესპუბლიკამ ერთნახევარჯერ და მეტად გაადიდა მარცვლეულის, ხორცის, რძის, მატყლისა და სხვა პროდუქტების წარმოება და დამზადება. უკანასკნელ წლებში პარტიამ და მთავრობამ ხამჯერ გაადიდეს კაპიტალური დაბანდებანი რუსეთის სფსრ სოფლის მეურნეობაში. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ყოველწლიურად იღებენ 80 ათასამდე ახალ ტრაქტორს, 40 ათას კომბაინსა და ბევრ სხვა ტექნიკას, გადიდდა მინერალური სასუქების წარმოება. ამან შესაძლებლობა მისცა ბევრ ოლქს მოეპოვებინა შესამჩნევი წარმატებანი. მაგრამ, აღნიშნავს ამხ. პოლიანსკი, არის ბევრი ოლქი, რომლებიც წლიდან წლამდე ვერ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს სახელმწიფოსა და საბჭოთა ხალხის წინაშე. მან ანალიზი გაუკეთა ამის მიზეზებს, და მათ შორის მთავარ მიზეზად მიიჩნია მიწების ცუდი გამოყენება ფედერაციის მთელ რიგ რაიონებში. ამ რაიონებისათვის საერთო თავისებურებაა ზონები, სადაც განსაკუთრებული გულმოდგინებით ინერგებოდა მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემა. ეს სერიოზულ ზიანს აყენებს მეურნეობას, აფერხებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, ხელს უშლის წინსვლას.

შემოქმედებითი მეცნიერების მონაცემებზე, მოწინავე პრაქტიკაზე დაყრდნობით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ღრმად და ყოველმხრივ გამოავლინა ნათესბალახიანი სისტემის შაბლონური გამოყენების მანკიერებანი, დაგმო მიწის უყაირათო გამოყენება, მოითხოვა ნათესი ფართობების სტრუქტურის ძირეული შეცვლა და, უწინარეს ყოვლისა, სიმინდის ნათესების გაფართოება. სწორედ ამ მიმართულებით ვაწარმოებთ ახლა დიდ მუშაობას, ამბობს ამხ. პოლიანსკი, და დარწმუნებული ვართ, რომ უახლოეს ხანში კარგ შედეგებს მივაღწევთ.

ორატორმა თქვა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიურომ და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავეს ნათესი ფართობების სტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

ამხ. პოლიანსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების მძლავრი აღმავლობა შესაძლებლობას მოგვცემს გადავჭრათ ორი ძირითადი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ამოცანა — მივაღწიოთ კვების მაღალხარისხოვანი პროდუქტების სიუხვეს მოსახლეობისათვის და ნედლეულისა — მრეწველობისათვის, და უზრუნველვყოთ ჩვენი სოფლის თანდათანობით გადასვლა კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, ძირითადად აღმოვფხვრათ განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის.

ამხ. პოლიანსკის გამოსვლაში დიდი ადგილი დაეთმო სახელმწიფო და სამეურნეო მმართველობის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების საქმიანობას, ამ ორგანოებში დემოკრატიული საფუძვლებისა და საზოგადოებრივი საწყისების განვითარებას. აპარატის სრულყოფა, აღნიშნავს იგი, განუყოფლად უკავშირდება კადრების სწორ შერჩევას, უნარიან განაწილებასა და აღზრდას. ხელმძღვანელის პირად ღირსებებს, პოლიტიკურ და საქმიან თვისებებს, ორგანიზატორულ ნიჭს, ხაზგასმით აღნიშნავს ორატორი, უნდა ვაფასებდეთ საწარმოს ან დაწესებულების მუშაობის ობიექტური შედეგების მიხედვით. სამწუხაროდ, ამბობს ამხ. პოლიანსკი, ჯერ კიდევ არის ფრიად გამძლე კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც მუდამ ფუშავენ საქმეს, და მაინც მრავალი წლის განმავლობაში რატომღაც „პასუხისმგებელ მუშაკებად" ითვლებიან. ერთხელ რომ მოხვდნენ გარკვეულ ნომენკლატურაში, მათ თითქოს სამსახურებრივი უკვდავების მანდატი მიიღეს.

საბჭოთა სახელმწიფოს ორგანოების როლის შემდგომი ამაღლების, მათი დემოკრატიზაციისა და მასებთან კავშირის გაძლიერების მოთხოვნებს, რაც ჩამოყალიბებულია პარტიის პროგრამაში, უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშ-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 225.

## ორი პენალტი—ორი ბურთი

კიშინიოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). მომავალ საფეხბურთო სეზონში ექნება თუ არა საქართველოს ორი ადგილი „ა" კლასში, თუ ისევ ტალინის „კალევი" ითამაშებს უძლიერესთა რიგებში? ამ კითხვაზე პასუხი უნდა გასცეს კიშინიოვის ტურნირმა, რომელშიც მონაწილეობენ ტალინის „კალევი", თბილისის „ლოკომოტივი" და ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელთა გუნდები.

პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ტალინის „კალევისა" და ქუთაისის „ტორპედოს" გუნდები. ქუთაისელები მოქმედებდნენ მაღალ ტემპში, ტალინელები კი დინჯად და გააზრებულად უტევდნენ. თამაშის მეხუთე წუთზე ქუთაისელებმა უხეშად ითამაშეს თავიანთი კარის მისადგომებთან, რისთვისაც თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დაინიშნა. ტალინელებმა კარგად გამოიყენეს ეს შესაძლებლობა და გახსნეს ანგარიში.

თამაშის მეორე ნახევარი მიმდინარეობდა ქუთაისელთა უპირატესობით, მაგრამ... შეხვედრის დამთავრებამდე ორი-სამი წამით ადრე გაურკვეველ სიტუაციაში ქუთაისელთა კარში დაინიშნა მეორე თერთმეტმეტრიანი საჯარიმო. ტალინელებმა მეორე ბურთი გაიტანეს და მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 2:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა

(დასასრული)

ენილობა აქვს, განაგრძობს დ. ს. პოლიანსკი. ისინი აიარაღებენ საბჭოთა მუშაკებს სახელმწიფო აპარატის მთელი მრავალფეროვანი მუშაობის შემდგომი სრულყოფის გზების, ფორმებისა და მეთოდების ცოდნით. ისინი გამოხატავენ სოციალისტური სახელმწიფოებრიობიდან საზოგადოებრივ კომუნისტურ თვითმმართველობაზე გადასვლის ობიექტურ კანონზომიერებას.

აღადგინა რა ჩვენი ქვეყნის პარტიული და სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპები, განაგრძობს დ. ს. პოლიანსკი, ცენტრალურმა კომიტეტმა ხალხში გააღვიძა ახალი მძლავრი ძალები. მხოლოდ მოლოტოვის, კაგანოვიჩის, მალენკოვის, ვოროშილოვისა და სხვების ანტიპარტიული ჯგუფი ცდილობდა ხელი შეეშალა ამისათვის, გამოდიოდა საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხში პარტიის ყველა ღონისძიებათა წინააღმდეგ. ორატორი ლაპარაკობს იმაზე, თუ როგორ ილაშქრებდა მოლოტოვი მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაციის წინააღმდეგ, ყამირის ათვისების წინააღმდეგ, დაგეგმვის მეთოდების გაუმჯობესებისა და პარტიის სხვა იმ ღონისძიებათა წინააღმდეგ, რომლებიც ცხოვრებით არის ნაკარნახევი. ამხ. პოლიანსკი შემდეგ ამბობს, რომ ანტიპარტიული ჯგუფის წევრი ამხ. ვოროშილოვი, რომელიც ამ ჯგუფის აქტიური მონაწილე იყო, თავხედურად, უხეშად, გამომწვევად იქცეოდა. კრიზისულ წუთებში მან უარიც კი თქვა შეხვედროდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებს, რომლებიც მოითხოვდნენ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევას. მას დაავიწყდა, რომ აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში და, მაშასადამე, შეეძლოთ აღარ გაეწიათ მისთვის ეს მაღალი ნდობა. ანტიპარტიული საქმეებისათვის, ხაზგასმით აღნიშნავს ორატორი, ამხ. ვოროშილოვს უნდა დაეკისროს სრული პასუხისმგებლობა ისევე, როგორც მთელ ანტიპარტიულ ჯგუფს. ჩვენმა პარტიამ, აღნიშნავს ორატორი, გაანადგურა ფრაქციონერები და განამტკიცა თავისი რიგების ერთიანობა, კიდევ უფრო მონოლითური და შეკავშირებული გახდა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშში, აღნიშნავს დ. ს. პოლიანსკი, მოცემულია ალბანეთის ხელმძღვანელთა არასწორი მოქმედების პრინციპული შეფასება. ჩვენ, ყრილობის დელეგატები, მთლიანად ვიზიარებთ ამ შეფასებას, რადგან იგი გამოხატავს მთელი ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის აზრს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, ამბობს ორატორი, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყნისა და პარტიის ცხოვრების ყველა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა და მათ შორის ანტიპარტიული ჯგუფის განადგურება განუყრელად დაკავშირებულია ერთგული ლენინელის, თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის სახელთან, ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის სახელთან.

განვიხილავთ რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშს და სკკპ პროგრამის პროექტს, ჩვენ ყველანი, ხოლო ჩვენთან ერთად მთელი ხალხი, ერთსულოვნად მივცემთ ხმას პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობის მოწონებას, ახალ პროგრამას, დედამიწაზე ყველაზე სამართლიანი საზოგადოების მშენებლობას — კომუნიზმს.

გამოდის ლიტვის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ა. ი. სნეჩკუსი.** ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მოხსენებებში, ამბობს იგი, ღრმა ანალიზი აქვს გაკეთებული ჩვენი პარტიის საქმიანობას სკკპ XX ყრილობის შემდეგ გასულ დროში. ჩვენი პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის შესანიშნავი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება გამოიხატა სკკპ ახალი პროგრამის, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პროგრამის პროექტის შექმნით. ისევე როგორც ყველგან ჩვენს ქვეყანაში, ლიტვის კომუნისტებმა და რესპუბლიკის ყველა მშრომელმა სკკპ ახალი პროგრამის პროექტი მიიღეს როგორც მოქმედების საბრძოლო სახელმძღვანელო. საბჭოთა ადამიანები უკვე დღეს თავიანთი შემოქმედებითი შრომით ახორციელებენ მის დებულებებს.

ამხ. სნეჩკუსი გადადის ლიტვის სახალხო მეურნეობის განვითარების საკითხებზე და აღნიშნავს, რომ ლიტვა, რომელიც ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა იყო, ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკა გახდა. ამით იჩინა თავი საბჭოთა წყობილების ძალამ და ცხოველმყოფელობამ, რუსი ხალხის და სსრ კავშირის სხვა ხალხების ძმურმა დახმარებამ. თითქმის 12-ჯერ გადიდდა საბჭოთა ლიტვის სამრეწველო წარმოება ომამდელი 1940 წლის დონესთან შედარებით. უკვე მიმდინარე წელს მრეწველობა მიაღწევს წარმოების იმ დონეს, რომელიც შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია 1963 წლისათვის. მომავალ ოცწლეულში საბჭოთა ლიტვაში დასახულია ცხრაჯერ გადიდდეს სამრეწველო პროდუქციის გამოშვება. 1980 წელს მრეწველობა ყოველ ოთხ დღეში გამოუშვებს იმდენ პროდუქციას, რამდენიც გამოშვებულ იქნა მთელ 1940 წელს.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებსაც ბურჟუაზიული პოლიტიკანები დაღუპვას უწინასწარმეტყველებდნენ, უკვე გადააჭარბეს ბურჟუაზიული ლიტვის სოფლის მეურნეობის დონეს, აღნიშნავს ორატორი. გაკეთებულია სერიოზული პრაქტიკული დასკვნები რესპუბლიკის გაკრიტიკებიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე. პარტიულმა ორგანიზაციამ განახორციელა ღონისძიებანი მარცვლეულის წარმოების გასადიდებლად. სახელმწიფოსათვის მარცვლის ჩაბარების ამა წლის გეგმა XXII ყრილობის წინ შესრულდა.

ყრილობის დელეგატები ლიტვის პარტიული ორგანიზაციისაგან, მთლიანად და სავსებით იწონებენ და მხარს უჭერენ ღონისძიებებს, რომლებიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის. ჭეშმარიტად ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ იმ გამბედაობის ისტორიული მნიშვნელობა, რომლითაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით აღკვეთა პიროვნების კულტის მავნე შედეგები. პიროვნების კულტის პერიოდში სერიოზული სიძნელენი იქმნებოდა ჩვენს რესპუბლიკაშიც, სადაც საბჭოთა ხელისუფლება შედარებით ცოტა ხნის წინათ დამყარდა.

ა. ი. სნეჩკუსი შემდეგ ამბობს, რომ ამერიკელი იმპერიალისტები და მათი დამქაშები — ლიტველი ბურჟუაზიული ნაციონალისტები ანტისაბჭოთა მიზნით ამაოდ ცდილობდნენ გაეღვივებინათ ნაციონალისტური ცრურწმენა, ამასვე შვრებოდა ვატიკანი, რომელიც ცდილობდა გამოეყენებინა კათოლიკური ეკლესიის ჯერ კიდევ არსებული ერთგვარი გავლენა მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებზე. ლიტვის პარტიული ორგანიზაცია საჭირო ღონისძიებებს ახორციელებს ყველა მშრომელისათვის კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩანერგვის ამოცანების წარმატებით განსახორციელებლად, რომლებიც პარტიამ დასახა.

ლიტვის მშრომელები მხურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება, ხაზს უსვამს ამხ. სნეჩკუსი. იგი მოაგონებს ყრილობას, თუ ყოველწლიურად როგორ ეწყობა „დამონებული ერების კვირეული“ ოკეანეს გაღმა. ჩვენ ამ „კვირეულთაგან“ არცა გვცხელა და არცა გვცივა, აცხადებს ორატორი ყრილობის მონაწილეთა ტაშის გრიალში. ღმერთმა ქნას, რომ თვითონ ამერიკელი ხალხი იყოს ისე თავისუფალი, როგორც ჩვენ, ლიტველები, ვართ საბჭოთა კავშირში.

ა. ი. სნეჩკუსი პირობას აძლევს ყრილობას, რომ საბჭოთა ლიტვის კომუნისტები, ყველა მშრომელნი არ დაიშურებენ ძალღონეს, რათა განახორციელონ სკკპ ახალი პროგრამა, რათა წარმატებით შეასრულონ კომუნიზმის მშენებლობის დიდებული გეგმები.

ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის შესანიშნავ მოხსენებებში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტის შესახებ — ამ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებში, თქვა ყირგიზეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ტურდაკუნ უსუბალიევმა**, შეჯამებულია ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლისა და შრომის შედეგები, მოცემულია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების მეცნიერულად დასაბუთებული, კონკრეტული პროგრამა. სასიხარულოა იმის შეგნება, რომ ჩვენი პარტია, რომელმაც გადაჭრით გადალახა პიროვნების კულტი, გაანადგურა ცხოვრებისაგან მოწყვეტილ ფრაქციონერთა ანტიპარტიული ჯგუფი, თავის XXII ყრილობას შეხვდა კიდევ უფრო განმტკიცებული, მჭიდროდ დარაზმული ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელსაც ამხანაგი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი მეთაურობს.

ჩვენი დრო, განაგრძო ორატორმა, ჭეშმარიტად დიად საქმეთა დროა. ცნობილია, რომ ყირგიზეთი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი განაპირა მხარე იყო. ყირგიზეთს წარსულში არ ჰქონდა მრეწველობა, ახლა კი 25 ქვეყანას აწვდის თანამედროვე სამრეწველო მოწყობილობას. ძირეული ცვლილებები განხორციელდა სოფლის მეურნეობაში. განუზომლად ამაღლდა მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის დონე.

ყირგიზმა ხალხმა, თქვა შემდეგ ამხ. უსუბალიევმა, კარგად იცის, რომ მთელ თავის წარმატებებს სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში უნდა უმადლოდეს კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ბრძნულ ხელმძღვანელობას, ჩვენი ქვეყნის ხალხების, უწინარეს ყოვლისა დიდი რუსი ხალხის ძმურ დახმარებას. ყირგიზეთის კომუნისტები და ყველა მშრომელი მთელ პარტიასთან, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ერთსულოვნად იწონებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ხაზსა და პრაქტიკულ საქმიანობას.

ასრულებენ რა პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებს, ყირგიზეთის მშრომელები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ შვიდწლედის დავალებანი. რესპუბლიკის მრეწველობა უფრო სწრაფი ტემპებით ვითარდება, ვიდრე გათვალისწინებული იყო. მნიშვნელოვნად გაიზარდა კაპიტალური მშენებლობის მასშტაბები. შვიდწლედის განვლილ პერიოდში მიღწეულია შესანიშნავი ძვრები სოფლის მეურნეობის განვითარებაშიც.

ამხ. უსუბალიევმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისათვის მისი ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენებას, და ხაზგასმით აღნიშნა განსაკუთრებული მნიშვნელობა ტოკტოგულის ჰიდროსადგურის მშენებლობისა ნარინის ჰიდროსისტემაში. ამხ. უსუბალიევის აზრით, უნდა დაჩქარდეს ამ სადგურის მშენებლობის დაწყების საკითხის გადაწყვეტა.

ყირგიზ ხალხს, თქვა ამხ. უსუბალიევმა, თავის წმიდათა-წმიდა მოვალეობად მიაჩნია დაუცხრომლად განამტკიცოს და გააფართოოს მეგობრობა, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა მოძმე ხალხებთან, გაამდიდროს თავისი კულტურის სოციალისტური შინაარსი, ყოველთვის მიმართოს ისეთ მძლავრ წყაროს, როგორიც არის დიდი რუსი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის სხვა მოძმე ხალხთა კულტურა. ყირგიზები დედაენასთან ერთად რუსულ ენასაც სწავლობენ.

რუსული ენა, განაცხადა ორატორმა, ერთა ურთიერთობის საერთო ენაა, პროგრესის, თანამშრომლობის, სიბრძნის ენაა, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მეგობრობისა და ძმობის ენაა. ყირგიზებისათვის რუსული ენა უკვე დიდი ხანია გახდა მეორე დედაენა. ჩვენ, ყირგიზები, ბედნიერი ვართ, რომ ვიცით და ვსწავლობთ იმ ენას, რომელზეც ლაპარაკობდა და წერდა დიდი ლენინი.

ნება მიბოძეთ აღუთქვა ჩვენი პარტიის XXII ყრილობას, თქვა დასასრულ ამხ. უსუბალიევმა, რომ ყირგიზეთის რესპუბლიკის კომუნისტები და ყველა მშრომელნი კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან ჩვენი მშობლიური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელსაც ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი მეთაურობს, და არ დაიშურებენ თავიანთ ძალღონესა და ენერგიას, რათა წარმატებით შეასრულონ კომუნისტური მშენებლობის დიდებული ამოცანები, რომლებსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა სახავს.

სიტყვა ეძლევა სკკპ ხაბაროვსკის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. **ა. პ. შიტიკოვს.**

.იმ უდიდესი წარმატებების მიხედვით, რომლებიც ჩვენმა პარტიამ და საბჭოთა ხალხმა მოიპოვეს XX ყრილობის შემდეგ, თქვა ორატორმა, რა უბადრუკად მოჩანს ახლა ანტიპარტიული ჯგუფის ცდები — წარემართა სამეურნეო მშენებლობის პოლიტიკა და პრაქტიკა მანკიერი და უაღრესად სახიფათო გზით. მადლობას ვუხდით ჩვენი პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, პირადად ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს იმისათვის, რომ დროზე ამხილეს და გააუვნებლეს ანტიპარტიული ჯგუფი. უდიდესი მუშაობაა გაწეული პიროვნების კულტის შედეგების დასაძლევად, პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმების აღსადგენად, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის მართვის გარდასაქმნელად, ურომლისოდაც ვერ მივაღწევდით იმ უდიდეს წარმატებებს, რითაც ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი შეხვდნენ XXII ყრილობას — კომუნიზმის მშენებელთა ყრილობას.

ხაბაროვსკის მხარის მშრომელებმა, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა ხალხმა, განაგრძო ამხ. შიტიკოვმა, განახორციელეს პარტიის XX და XXI ყრილობების ისტორიული გადაწყვეტილებანი და შეხვდნენ XXII ყრილობას ახალი წარმატებებით ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. გადაჭარბებით შესრულდა შვიდწლედის პირველი ორი წლის, აგრეთვე მიმდინარე წლის ცხრა თვის სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმები. მხარეში მწყობრში დგება ახალი საწარმოო სიმძლავრეები. პირველად ათვისებულია ტრანსფორმატორების, ხიდური ამწეების, ავტომატი ჩარხების, მუხლუხა კომბაინების, სათბობი ქვაბების გამოშვება.

ჩვენთვის, შორეულაღმოსავლეთელებისათვის, თქვა ორატორმა, განსაკუთრებით სასიამოვნო და სასიხარულოა იმის შეგნება, რომ პარტიის პროგრამის პროექტში და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებებში დიდი ყურადღება ეთმობა მომავალ ორ ათეულ წელიწადში მრეწველობის განვითარებას ურალის აღმოსავლეთით მდებარე რაიონებში. ეს იმას ნიშნავს, რომ სწრაფად განვითარდება ჩვენი შორეული აღმოსავლეთიც, რომლის აურაცხელ ბუნებრივ სიმდიდრეებს, არსებითად, ეს-ეს არის შეეხო ადამიანის ხელი.

ჩვენს მხარეში, აღნიშნა ა. პ. შიტიკოვმა, განსაკუთრებით დიდი შესაძლებლობაა სატყეო და ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის. მაგრამ სახალხო მეურნეობის საბჭოსა და რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ ხე-ტყის დამზადება ხაბაროვსკის მხარეში არ უნდა განვავითაროთ. ჩვენ მცდარად მიგვაჩნია ასეთი აზრი. ხაბაროვსკის მხარეში უფრო აქტიურად უნდა განვავითაროთ ცელულოზ-ქაღალდის მრეწველობა, ვაწარმოოთ მერქნის ნარჩენების ქიმიური გადამუშავება, გავაფართოოთ ავეჯისა და ფანერის წარმოება. შორეულ აღმოსავლეთში გეოლოგიურ სამუშაოთა გაძლიერებისა და მოწესრიგებისათვის ჯეროვან ღონისძიებებს არ ახორციელებს სსრ კავშირის გეოლოგიისა და წიაღის დაცვის სამინისტრო.

თავის გამოსვლაში ორატორმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო მხარის სოფლის მეურნეობის განვითარებას. აქ გაუმჯობესდა ნათესი ფართობების სტრუქტურა სიმინდისა და სოიის ნათესების გადიდებით, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამაღლდა შრომის მექანიზაციის დონე, მიღწეულია პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის ერთგვარი ზრდა.

ყოველივე ამან შესაძლებლობა მოგვცა 1958 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაგვედიდებინა სახელმწიფოსათვის ხორცის, რძის, კვერცხის მიყიდვა. ორატორმა დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ დახმარება გაუწიონ მხარეს ახალი მიწების ათვისებასა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების კომპლექსის შექმნაში, რომლებიც გამოდგება შორეული აღმოსავლეთის ნიადაგებისა და ჰავის პირობებში.

ხაბაროვსკის მხარის კომუნისტები და ყველა მშრომელნი, თქვა დასასრულ ამხ. შიტიკოვმა, აღფრთოვანებულნი პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებით, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელსაც მეთაურობს ვ. ი. ლენინის საქმის განმგრძობი, ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, ვალდამდე შეასრულებენ შვიდწლედის გეგმას და ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.



სკკპ XXII ყრილობის დელეგატები ირაკლი აბაშიძე (მარცხნივ) და ალექსანდრე კორნეიჩუკი. ფოტო ი. დავითაშვილისა.

## 23 ოქტომბრის საღამოს სხდომა

ყრილობის საღამოს სხდომა გაიხსნა ამხ. ქ. ტ. მაზუროვის თავმჯდომარეობით.

დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ ალჟირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. **ლარბი ბუხალის** მისასალმებელ გამოსვლას.

ჩვენთვის, ალჟირელი კომუნისტებისათვის, ამბობს ამხ. ლ. ბუხალი, დიდი პატივი და დიდი სიხარულია, რომ თქვენთან ვართ ისტორიულ მომენტში, როცა თქვენ საფუძველს უყრით გასხივოსნებულ კომუნისტურ საზოგადოებას.

უდიდესი რეზონანსი, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ხაზს უსვამს მის ისტორიულ მნიშვნელობას არა მარტო საბჭოთა ხალხისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისთვისაც.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის მეოხებით მკაფიოდ და ფრიად კონკრეტულად ისახება კონტურები კომუნისტური საზოგადოებისა, რომლის დევიზია: ყველაფერი ადამიანის ბედნიერებისათვის.

ამხ. ლ. ბუხალი ამბობს, რომ ალჟირელი მშრომელნი ჯერ კიდევ ცხოვრობენ კოლონიური რეჟიმის პირობებში ეროვნული დათრგუნვისა და რასისტული დამცირების საშუალებათა მთელი მისი არსენალით, საშინელი ექსპლოატაციის, სილატაკის პირობებში.

ალჟირელი ხალხი, განაგრძობს ორატორი. ფასდაუდებელ მორალურ მხარდაჭერას იღებს რა საბჭოთა კავშირისაგან თავისი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, დარწმუნებულია, რომ სკკპ პროგრამის განხორციელება მას გადაუშლის კიდევ უფრო მეტი ეკონომიური და ტექნიკური დახმარების პერსპექტივებს, რომელიც მოხმარდება ეროვნული ეკონომიკის შექმნას სამშობლოს განთავისუფლების შემდეგ. თავიანთი განთავისუფლებისათვის ხანგრძლივ სასტიკ ომში გამოწრთობილი ალჟირელი პატრიოტების ბრძოლა სულ უფრო იღებს პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ ხასიათს,

თავისი გმირული ბრძოლის მეოხებით, რომელსაც უდიდესი მსხვერპლი შეეწირა, ალჟირელ ხალხთან მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალების. მათ შორის საფრანგეთის პროგრესული ძალების სოლიდარობის მეოხებით, რომელთა შთამაგონებელია მოძმე საფრანგეთის კომუნისტური პარტია, ალჟირელმა ხალხმა დიდი გამარჯვებანი მოიპოვა საფრანგეთის იმპერიალიზმზე. მაგრამ მან ჯერ კიდევ ბევრი ღონისძიება უნდა იხმაროს და ახალი მსხვერპლი გაიღოს, რათა მოიპოვოს ეროვნული დამოუკიდებლობა.

მკვეთრი წინააღმდეგობა, ამბობს ამხ. ბუხალი, რომელიც ალჟირის ქალაქებში მუშათა კლასის ხელმძღვანელობით გაეწია ულტრაკოლონიალისტთა დანაშაულობებს, აგრეთვე ალჟირელ მშრომელთა მასობრივი დემონსტრაციები საფრანგეთში ხაზს უსვამენ ჩვენი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილებას მალე მოუღოს ბოლო სამარცხვინო კოლონიურ რეჟიმს.

ორატორი აღნიშნავს, რომ საფრანგეთში აპატიმრებენ ალჟირელებს, რომლებიც გამოდიან იმ დისკრიმინაციულ ღონისძიებათა წინააღმდეგ, რაც ალჟირელების მიმართ ხორციელდება. ჩვენ ვგმობთ ამ მხეცურ რეპრესიებს, ამბობს იგი, და მოვუწოდებთ ყველა თავისუფლებისმოყვარე ადამიანს მოითხოვონ მათი დაუყოვნებლივ შეწყვეტა.

ალჟირის კომუნისტური პარტია მუდამ ხელმძღვანელობს ლენინის სახელოვანი პარტიის მდიდარი და უბადლო გამოცდილებით, აცხადებს ლ. ბუხალი. ისევე, როგორც ჩვენ სავსებით მოვიწონეთ XX და XXI ყრილობების ისტორიული გადაწყვეტილებანი, რომლებმაც უდიდესი იდეოლოგიური დახმარება გაგვიწიეს, ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ მთლიანად და უთუოდ ვეთანხმებით თქვენი პარტიის პოლიტიკას, რომელიც ჩამოყალიბებულია ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებებში XXII ყრილობაზე. ალჟირელი კომუნისტებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მუდამ იყო და არის საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ნაცადი ავანგარდი.

თავისი სიტყვის დასასრულს ლარბი ბუხალი საბჭოთა ხალხს უსურვებს დიდ წარმატებებს შემოქმედებითს შრომაში, მშვიდობისათვის ბრძოლაში. იგი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცემს სკკპ XXII ყრილობისადმი მისალმებას ალჟირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით. დარბაზში გაისმის მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. შეძახილები: „გაუმარჯოს ალჟირის კომუნისტურ პარტიას!“, „გაუმარჯოს ალჟირელ ხალხს, რომელიც თავისი დამოუკიდებლობისათვის იბრძვის!“, „ძირს იმპერიალიზმი, ძირს კოლონიალიზმი!“.

შემდეგ გამოდის ჩილის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. **ლუის კორვალანი.** იგი ამბობს, რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით დასახული მომავლის გზები ფართოვდება და დღითიდღე უფრო ნათელი ხდება. ახლოვდება ახალი ერა — კომუნიზმის ერა. უკვე მკაფიოდ ისახება ძირითადი ნიშნები მომავალი საზოგადოებისა — სრული და ნამდვილი თავისუფლების სამყაროსი, სადაც არ იქნება ექსპლოატაცია, ომები, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებანი. პატივი და დიდება პარტიას, რომელმაც ასე ბევრი გააკეთა და აკეთებს მშრომელთა განთავისუფლებისათვის, კაცობრიობის ბედნიერებისათვის, რომელიც დღეს თავის პროგრამაში საქვეყნოდ აცხადებს ყველაზე ჰუმანურ ლოზუნგს: „ყველაფერი ადამიანისათვის!“.

ისტორიამ, განაგრძობს ორატორი, თქვენს პარტიას მიაკუთვნა საპატიო და გმირული როლი — პირველი იყოს გაუკვალავი გზებით ლაშქრობაში, თავდადებით იაროს ავანგარდში, მაგალითი იყოს სხვებისათვის. ამიტომ იგი მუდამ იწვევდა საერთაშორისო რეაქციის სიძულვილს და ყველა ქვეყნის რევოლუციური პროლეტარიატის ალტაცებას, ნდობასა და სიყვარულს.

ამხ. ლ. კორვალანი აღნიშნავს სკკპ XX ყრილობის უდიდეს მნიშვნელობას მშვიდობისა და სოციალიზმის საქმისათვის. იგი აცხადებს, რომ დასკვნებმა, რომლებიც გამომდინარეობენ მისი გადაწყვეტილებებიდან, პიროვნების კულტის წინააღმდეგ ბრძოლამ გააჯანსაღა და განამტკიცა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა.

ყოველივე ის, რითაც ახლა ცხოვრობენ ლათინური ამერიკის ხალხები, ამბობს შემდეგ ლუის კორვალანი, შეიძლება გამოიხატოს ერთი სიტყვით, რომელსაც დღითიდღე სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება და რომელიც აღგვაფრთოვანებს ბრძოლისათვის, — „კუბა.“ ამიტომ ამერიკელი იმპერიალისტები ახალ აგრესიულ აქტებს ამზადებენ ამ გმირი, ტერიტორიით პატარა, მაგრამ თავისი საქმეებით უდიდესი მოძმე ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც კარიბის ზღვაში მდებარეობს. მაგრამ ისინი ფრთხილად უნდა იყონ. ლათინური ამერიკის ხალხები გულ-ხელ დაკრეფილი როდი სხედან. როგორც ხატოვნად თქვა პაბლო ნერუდამ, თუ იმპერიალისტებმა კვლავ სცადეს კუბის ჩახშობა, კონტინენტის ყველა კუთხეში აგიზგიზდება სიერა მაესტრას ალი.

გაუმარჯოს კუბის რევოლუციას და ლათინური ამერიკის ყველა ხალხის ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის!

გაუმარჯოს მშვიდობასა და სოციალიზმს! — ამბობს ლუის კორვალანი ყრილობის მონაწილეთა ტაშის გრიალში.

უაღრესად აღმაფრთოვანებელ მოვლენას უწოდებს სკკპ XXII ყრილობას დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასკომის გენერალური მდივანი ამხ. **ჯონ გოლანი.** ლაპარაკობს რა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შესანიშნავ გეგმაზე, იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე არ ყოფილა ასეთი გეგმის განხორციელების შესაძლებლობა. მშრომელებისათვის სიუხვის პერსპექტივა ჯერ არასოდეს არ ყოფილა ისე ნათელი, მკაფიო და მახლობელი, როგორიც დღეს არის. თქვენი ყრილობა, ამბობს ორატორი, ჩვენთვის მოასწავებს, რომ იწყება ახალი ერა. რა იმედებით, რა შთაგონებით აღუვსებს ეს გულს ყველა მშრომელს! ყრილობა ახალ ძალებს მატებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის კომუნისტებს, რომლებიც მეტი ენერგიით, ვიდრე ოდესმე, იბრძოლებენ იმავე მიზნის განხორციელებისათვის.

ამხ. ჯ. გოლანი ახასიათებს კონსერვატიული მთავრობის პოლიტიკას, რომელმაც ინგლისი დააკავშირა ნატოსთან დამღუპველი ატომური კავშირით, სადაც მისი პარტნიორები არიან ამერიკის შეერთებული შტატები და დასავლეთი გერმანია. ეს პოლიტიკა დიდი ბრიტანეთის უშიშროებისა და მომავლის ღალატია. ეს არის იმ კლასის პოლიტიკა, რომელიც მოგების მიღებას ყველაფერზე მაღლა აყენებს. მაგრამ იზრდება იმათი რიცხვი, ვინც ინგლისში გამოდის ატომური იარაღის წინააღმდეგ, სამხედრო ბაზების წინააღმდეგ, ომის მზადების პოლიტიკის წინააღმდეგ. ფართოვდება მშვიდობისათვის მოძრაობა, რომელიც საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს.

ინგლისის პოლიტიკის კრიზისმა თავისი გამოხატულება ჰპოვა ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ოფიციალური პროგრამის გაკოტრებით. ეს პოლიტიკა ვერასოდეს ვერ გადაწყვეტს ქვეყნის წინაშე მდგომ პრობლემებს, რადგან იგი ხელუხლებლად ტოვებს მონოპოლიების ყოვლისმძლე ძალაუფლებას, რომელთა ხელშია თავმოყრილი მთელი ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება. მხოლოდ კომუნისტურმა პარტიამ, აცხადებს ამხ. ჯ. გოლანი, წამოაყენა ინგლისში სოციალიზმის აშენების პრაქტიკული პროგრამა.

აღფრთოვანებულნი იმით, რაც აქ მოვისმინეთ, დავბრუნდებით ინგლისში და ვუამბობთ იქ, თუ რას აკეთებთ თქვენ, გავაცნობთ თქვენს გრანდიოზულ გეგმებს. ჩვენ სამშობლოში დავბრუნდებით კიდევ უფრო მტკიცე გადაწყვეტილებით — ვიბრძოლოთ მშვიდობის შენარჩუნების დიადი საქმისათვის.

გაუმარჯოს სკკპ XXII ყრილობას!

გაუმარჯოს ინგლისელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის მეგობრობას! გაუმარჯოს კომუნიზმის აშენების დიად გეგმას!

ერაყის ყველა კომუნისტისა და დემოკრატის სახელით ერაყის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **სალამ ადილმა,** რომელიც ყრილობაზე გამოვიდა, მეგობარი საბჭოთა კავშირის ხალხებს წარმატებები უსურვა კიდევ უფრო ბედნიერი ცხოვრების მიღწევაში და გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა ადამიანები შემოქმედებითად და გაბედულად შეასრულებენ პარტიის ახალ პროგრამას.

ამხ. ს. ადილი სკკპ XX ყრილობას უწოდებს ისტორიულს. ამ ყრილობამ ფართო პერსპექტივები დაუსახა მთელ საერთაშორისო მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ორატორი ამბობს, რომ ამ ყრილობის გადაწყვეტილებებმა კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა ერაყის კომპარტიის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, ხელი შეუწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას ერაყში.

ალბანელ ხელმძღვანელთა მოქმედება, აცხადებს ს. ადილი, ოპოზიციაა ყოველივე ცოცხლისა და შემოქმედებითისადმი, ოპოზიციაა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი, კომუნისტური იდეოლოგიისადმი. ამ ოპოზიციას საერთო არა აქვს რა მარქსიზმ-ლენინიზმთან. ჩვენი პარტია, ამბობს ამხ. ს. ადილი, მთელ საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობასთან ერთად იბრძოლებს, ამხილებს და ეცდება გაანადგუროს ალბანელ ხელმძღვანელთა ვიწრონაციონალისტური პოზიციები.

ჩვენი პარტია, განაგრძობს ორატორი, აქტიურ როლს ასრულებს ერაყში დემოკრატიულ, ანტიიმპერიალისტურ მოძრაობაში. იგი მხარს უჭერს მთავრობის ყოველ ღონისძიებას, რომელიც მიმართულია იმპერიალიზმის შეთქმულებების, სამხედრო კავშირებისა და მონოპოლისტური ნავთობის კომპანიების წინააღმდეგ. ამხ. ს. ადილი ლაპარაკობს პარტიის ბრძოლაზე დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებისათვის, მშრომელთა ეკონომიური მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ამ ბრძოლამ აამაღლა ხალხის მასების შეგნებულობა, შეაკავშირა ისინი პარტიის გარშემო, რომლის რიცხობრივი შემადგენლობა უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ორნახევარჯერ გადიდდა.

ერაყის კომპარტიას სკკპ ახალი პროგრამისა და ახალი წესდების პროექტები მიაჩნია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის შემოქმედებით განვითარებად. ეს დოკუმენტები უდიდეს გავლენას მოახდენენ საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაზე, ხელს შეუწყობენ მშვიდობისათვის, ეროვნული განთავისუფლებისათვის, დემოკრატიის, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის ბრძოლას, აცხადებს სალამ ადილი. მან ყრილობას უსურვა დიდი წარმატებანი მუშაობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მიერ ახალი პროგრამის მიღება ნიშნავს ახალი ხანის, კომუნიზმის ხანის დაწყებას, ამბობს პორტუგალიის კომპარტიის გენერალური მდივანი ამხ. **ალვარო კუნიალი,** რომელიც ძმურად მიესალმა ყრილობას პორტუგალიის კომუნისტებისა და მუშათა კლასის სახელით.

სკკპ ახალი პროგრამა, განაგრძო შემდეგ ორატორმა, მთლიანად და სავსებით ემყარება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, რომლებიც ყველა კომუნისტური პარტიის საქმიანობის ძირითადი პრინციპებია. ეროვნული შეზღუდულობისა და ეგოიზმის, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის პოზიციები არა მარტო უცხოა, არამედ კიდევაც ეწინააღმდეგება სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეალებს. კომუნისტური და მუშათა პარტიები მტკიცედ და დაუცხრომლად უნდა იბრძოდნენ ამგვარი პოზიციების წინააღმდეგ, განუწყვეტლივ განამტკიცებდნენ თავიანთ რიგებში ერთგულებას პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი, ძმური ერთიანობისა და სკკპ გარშემო შეკავშირების იდეებისადმი. ამასთან დაკავშირებით ორატორი ხაზგასმით აღნიშნავს: ჩვენ მიგვაჩნია, რომ ალბანეთის შრომის პარტიის პოზიცია არ ემსახურება საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ინტერესებს, და გამოვთქვამთ ჩვენს ღრმა სურვილს, რომ ამ პარტიამ გამოასწოროს თავის ხელმძღვანელთა მცდარი და საშიში ორიენტაცია.

ამხ. ალვარო კუნიალმა შემდეგ განაცხადა, რომ საბჭოთა ხალხის მიღწევები და სკკპ პროგრამა იწვევენ პორტუგალიის კომუნისტების, მუშათა კლასის, ყველა მშრომელის დიდ სიხარულს. ეს მიღწევები მძლავრი მხარდაჭერაა პორტუგალიელ მშრომელთა ბრძოლაში ფაშისტური დიქტატურის წინააღმდეგ.

ორატორი აღნიშნავს, რომ იმპერიალისტთა ბრძანებით სალაზარმა პორტუგალია გადააქცია ამერიკის იმპერიალიზმის ბაზად, და ამბობს, რომ ამჟამად პორტუგალიის ფაშისტური დიქტატურა სერიოზულ კრიზისს განიცდის. იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს დემოკრატიული ძალების ერთიანობასა და მოქმედების აქტივიზაციას, სალაზარი კიდევ უფრო აძლიერებს რეპრესიებს. პორტუგალიელ კომუნისტებს, რომლებიც უკვე 35 წელია იბრძვიან ღრმა იატაკქვეშეთის პირობებში, მძიმე ბრძოლები და განსაცდელი მოელით.

მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების ერთგული პორტუგალიის კომუნისტური პარტია, თქვა დასასრულ ალვარო კუნიალმა, გაამრავლებს ღონისძიებებს, რათა გააერთიანოს დემოკრატიული და პატრიოტული ძალები, დარაზმოს მუშათა კლასი და ხალხის მასები მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, პორტუგალიის კოლონიების ხალხთა თვითგამორკვევის უფლების ცნობისათვის, პორტუგალიაში დემოკრატიის დამყარებისათვის საბრძოლველად.

თქვენი პარტიის XXII ყრილობა, განაცხადა ავსტრიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ამხ. **იოჰან კოპლენიგმა,** რომელმაც მისალმებით მიმართა ყრილობას, გრანდიოზული ისტორიული მოვლენაა არა მარტო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში, არამედ მთელი კაცობრიობის ისტორიაშიც. ეს ყრილობა მის წინაშე სახავს ისეთი საზოგადოების აშენების რეალურ პერსპექტივებს, სადაც არ იქნება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, ადამიანის მიერ ადამიანის მოსპობის საფრთხე, სახავს მთელ მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვების პერსპექტივებს.

სწორედ ახლა, როცა იმპერიალისტები გამალებით იარაღდებიან და ყველგან ქმნიან დაძაბულობის კერებს, როცა ხალხებს მესამე მსოფლიო ომის, საშინელი ატომური ომის საფრთხე მოელის, — კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამის პროექტი, რომელიც ფართო საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ შეტანილია ყრილობის განსახილველად, აღაფრთოვანებს ყველა ხალხს იმისათვის, რომ ჩაფუშონ ომის გამჩაღებელთა ხრიკები, ალაგმონ ისინი და ხელი შეუშალონ მსოფლიოში ახალი ომის ხანძრის გაჩაღებას.

ავსტრია ნეიტრალური ქვეყანაა, და ჩვენ, ავსტრიელი კომუნისტები, განუხრელად ვიბრძვით ჩვენი ქვეყნის ნეიტრალიტეტის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, საბჭოთა კავშირის ხალხებსა და ავსტრიელ ხალხს შორის მეგობრობისათვის.

ჩვენ შეგნებული გვაქვს, ამბობს ამხ. ი. კოპლენიგი, რომ დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმი და მილიტარიზმი საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისთვისაც, მისი უშიშროებისა და დამოუკიდებლობისათვის. რეაქციული წრეები ყოველ ღონეს ხმარობენ და ცდილობენ ამა თუ იმ ფორმით ჩააყენონ ავსტრია დასავლეთგერმანელ მონოპოლისტთა და რევანშისტთა აგრესიული მიზნების სამსახურში, მიაბან ჩვენი ქვეყანა თავიანთ სამხედრო ეტლს.

საბჭოთა კავშირის შეუპოვარი ბრძოლა დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის ალაგმვისათვის, გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებისა და დასავლეთ ბერლინის პრობლემის მოწესრიგებისათვის შეესაბამება აგრეთვე ჩვენი ხალხის ინტერესებს, ემსახურება მშვიდობის უზრუნველყოფას ჩვენი ქვეყნისთვისაც. ავსტრიელი კომუნისტები მთელი ძალღონით უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო ინიციატივას, მთავრობისა, რომელსაც ამხანაგი ხრუშჩოვი მეთაურობს.

ამხ. ი. კოპლენიგმა აღნიშნა სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა დიდი მნიშვნელობა და გადაჭრით გაილაშქრა ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელობის მოქმედების წინააღმდეგ, რაც მიმართულია XX ყრილობის ხაზის წინააღმდეგ და ზიანს აყენებს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, ხაზგასმით აღნიშნავს ორატორი, გამოაცხადა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე გაბედული პროგრამა, რაზმავს და აღაფრთოვანებს მასებს მის განსახორციელებლად. ეს ავსტრიელ კომუნისტებს, ისევე როგორც ყველა კომუნისტს, რომლებიც ბრძოლას ეწევიან კაპიტალისტურ ქვეყნებში, უნერგავს სიამაყესა და რწმენას, რომ ჩვენი სამართლიანი საქმე გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში.

ჩვენ მივესალმებით სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და ვუსურვებთ მას და საბჭოთა ხალხს შემდგომ წარმატებებს შრომაში მუშათა კლასის საკეთილდღეოდ, ყველა ქვეყნის მშრომელთა და ხალხთა საკეთილდღეოდ.

* * *

ისევე როგორც წინა დღეებში, როცა ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან გამოდიან მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები, ყრილობათა სასახლის ვეებერთელა დარბაზში ქუხს ტაში. დიადი ფორუმის დელეგატები ამით მიესალმებიან კომუნისტთა მრავალმილიონიან არმიას, რომელიც გაბედულად მიდის კაცობრიობის ავანგარდში, ცხადყოფს მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ურყევ ერთიანობას.

ჩვენი სამშობლოს ხალხის, საზღვარგარეთელი მეგობრების, მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის თვალი, ფიქრი და გონება მიპყრობილია პარტიის ისტორიული XXII ყრილობისადმი, რომელიც მიიღებს თანამედროვეობის უდიდეს დოკუმენტს — სკკპ ახალ პროგრამას, ამბობს ვინიცის ოლქის ბერშადის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. **ვ. მ. კავუნი.**

ამხ. კავუნი მოაგონებს დამსწრეთ, რომ ნ. ს. ხრუშჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით მხურვალედ მიულოცა სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს წარმატებანი მარცვლეულის წარმოების გადიდებაში, მიწის რაციონალურად გამოყენებაში, ნება მიბოძეთ ამ მაღალი ტრიბუნიდან ჩვენი არტელის კომუნისტების, კომკავშირელების, ყველა კოლმეურნის დავალებით, ამბობს ორატორი, ჩვენი დიდი კოლმეურნული მადლობა გადავცე პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს და გადმოგცეთ პირადად თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, თქვენი მამობრივი ზრუნვისა და ყურადღებისათვის ჩვენდამი, სოფლის მეურნეობის მშრომელებისადმი!

კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია და გამგეობა, ხელმძღვანელობდნენ რა პარტიის მითითებებით, მთელ ყურადღებას აქცევდნენ მარცვლეულის წარმოების გადიდებას, ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. კავუნი. ეს ამოცანა წყდებოდა ნათესი ფართობების სტრუქტურის გაუმჯობესების, მიწათმოქმედების კულტურის საერთო დონის ამაღლების გზით. მარცვლეულის ნათესებში მთავარი ადგილი დათმობილი აქვს საშემოდგომო ხორბალს, სიმინდსა და ბარდას. ახლა ამ „სამეულს“ მთელი მარცვლეულის ნათესების 90 პროცენტი უჭირავს.

უკანასკნელ ოთხ წელიწადში არტელმა, უარი თქვა რა მოუთესავ ანეულზე, გააორკეცა მარცვლეულის წარმოება და საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 30 ცენტნერი მარცვალი. 1961 წელს კოლმეურნეობამ 3.264 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღო 38 ცენტნერი მარცვალი.

ბარდის მარცვლის საერთო მოსავალმა წელს შეადგინა 134 ათასი ფუთი, რომლიდანაც სახელმწიფოს მიეყიდა 73 ათასი ფუთი, რისთვისაც მივიღეთ 250 ათასი მანეთი. ბარდის შემდეგ ნიადაგში დარჩა 50 ტონა კარგად ასათვისებელი აზოტი. მიმდინარე წელს, როცა ნამდვილად მოვკიდეთ ხელი სიმინდის მოყვანას, ჰექტარზე მივიღეთ 60 ცენტნერი მარცვალი.

მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა შაქრის ჭარხლის მოყვანას. წელს 1.135 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მივიღებთ დაახლოებით 350 ცენტნერ ჭარხალს. მომავალ წელს მნიშვნელოვან ფართობებზე აუცილებლად გამოვიყენებთ ყუბანელთა გამოცდილებას შაქრის ჭარხლის მოყვანაში ხელის შრომის დაუხარჯავად.

შემდეგ ამხ. კავუნი დაწვრილებით ლაპარაკობს მარცვლეულის მეურნეობის, მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივებზე, საზოგადოებრივ მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა გადიდებაზე, კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებებისათვის დიდი სახსრების გამოყოფაზე.

უკვე დღეს, აღნიშნავს იგი, ჩვენ სახეს ვუცვლით სოფელს, სოფელში შენდება თანამედროვე სახლები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სამედიცინო დაწესებულებები. უკანასკნელ სამ წელიწადში კოლმეურნეობამ ააგო სკოლა 500 მოსწავლისათვის, ახალ სახლებში გადავიდა კოლმეურნეთა 400 ოჯახი. განზრახული გვაქვს სოფელი გავხადოთ ქალაქის ტიპის დაბად.

ჩვენი ქვეყნის განვითარების ფართო პერსპექტივები, რაც დასახულია პარტიის ახალ პროგრამაში, აღგვაფრთოვანებენ ჩვენ, მიწის მშრომელებს, შემოქმედებითი შემართებისათვის, ახალი შრომითი გმირობისათვის საყვარელი სამშობლოს ასაყვავებლად.

მინდა ამ მაღალი ტრიბუნიდან ვთქვა, რომ დღეს ყველა საბჭოთა ადამიანს პირზე აკერია: გაგვიძეხ, მშობლიურო პარტიავ, ლენინის დროშით წინ კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

შემდეგ გამოდის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ნ. გ. იგნატოვი.**

XXII ყრილობა, ამბობს ამხ. იგნატოვი, უდიდესი მოვლენაა პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. იგი იწყებს ახალ ეპოქას, როცა ხალხთა მთელ ისტორიაში პირველად აშენდება ყველაზე მოწინავე, ყველაზე სამართლიანი საზოგადოება — კომუნისტური საზოგადოება. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი პარტია, რომელმაც განვლო ძნელი, მაგრამ სახე-

(დასასრული მე-3 გვერდზე).

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა

(გაგრძელება)

ლოვანი გზა, გაუძლვება საბჭოთა ადამიანებს კომუნიზმის ელვარე სიმაღლეთა გადამწყვეტი იერიშისათვის, გზას გაუკაფავს მთელი კაცობრიობის ნათელ მომავალს. ამ გზას გაგვინათებს ყველა დროის დიადი ქარტია — პარტიის პროგრამა, რომელსაც განიხილავს და უთუოდ დაამტკიცებს ეს ყრილობა.

ამხ. იგნატოვმა თავის სიტყვაში მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქცია სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საკითხებს. 1953 წლის სექტემბრის პლენუმის შემდეგ, აღნიშნავს იგი, პარტიამ უდიდესი მუშაობა გასწია სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალების აღმავლობისათვის, და დღეს სრული უფლებით შეიძლება ითქვას, რომ აქაც მოპოვებულია დიდი წარმატებები.

ასრულებენ რა ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მიმდინარე წელს დიდი გამარჯვება მო-

[illegible]

ხისმგებლობის წინაშე ...

[illegible]

# 24 ოქტომბრის დილის სხდომა

[illegible]

პარტიის ხელმძღვანელობის მიმართ. ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელები, ამბობს ორატორი, ჩვენი პარტიისადმიც მიმართავენ იმ პრინციპებთან შეუთავსებელ მოქმედებას, რომლებსაც შეიცავს კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა 1960 წლის ნოემბრის თათბირის განცხადება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარ-

[illegible]

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)



სურათზე: სკკპ XXII ყრილობის დელეგატები (მარცხნიდან მარჯვნივ): ც. ყოლბაია (გალი), გ. შონია (ცხაკაია), მწველავი ნ. კაარდივიაზლანე (ესტონეთი), პ. შევარდნაძე (ლანჩხუთი) და ე. ოტსმანი (ესტონეთი).

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქტესის ფოტოქრონიკა).

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა

(გაგრძელება)

ტენის, საგლინავი დგანის, 54 მძლავრი ქიმიური საწარმოს საექსპლოატაციოდ გადაცემას, გაიყვანეს თითქმის 20 ათასი კილომეტრი გაზსადენი, რკინიგზა, ელექტროფიცირებული გზა.

ყრილობისწინა შეჯიბრებაში ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობით ოთხ თვეში საექსპლოატაციოდ გადაეცა 64 მსხვილი სამრეწველო ობიექტი. ორ მილიონზე მეტმა ახალგაზრდა მუშამ პარტიის ყრილობისათვის შეასრულა შრომის ნაყოფიერების წლიური დავალებანი.

პარტიის XX ყრილობის შემდგომი წლები, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. პავლოვმა, იყო წლები, როცა ჭაბუკები და ქალიშვილები სწავლობდნენ მიწის სიყვარულსა და პატივისცემას, მხვნელ-მთესველისა და მეცხოველის შრომას. მარტო მეცხოველეობის ფერმებში კომკავშირული საგზურებით 2,5 მილიონზე მეტი კაცი მოვიდა. ახალგაზრდობა განსაკუთრებული პასუხისმგებლობითა და ენთუზიაზმით მოეკიდა სიმინდის მოვლა-მოყვანას.

ამხ. პავლოვმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდები მხურვალედ გამოეხმაურნენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოწოდებას — წავიდნენ ტაიგაში, მთებში, უდაბნოებში, რათა დაეხმარონ პარტიას იმაში, რომ საბჭოთა ხალხის სამსახურში ჩააყენოს ამ რაიონების სიმდიდრენი. ორატორმა მაგალითისათვის მოიყვანა მოსკოვის ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის კომკავშირელის არაფელოვის განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „პარტიის XXII ყრილობაზე ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის გამოსვლის პასუხად გთხოვთ გამგზავნოთ პლანეტის რომელიც გნებავთ პუნქტში და მის გარეთაც, სადაც საჭიროდ მიიჩნევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია".

ახალგაზრდობა სულით და გულით იზიარებს კომუნიზმის იდეალებს, აქტიურად იბრძვის ამ იდეალებისათვის, თქვა ამხ. პავლოვმა. მან დაასახელა XXII ყრილობის ახალგაზრდა დელეგატები, რომლებსაც წილად ხვდათ პატივი შრომის სახელმოხვეჭილ ვეტერანებთან, გამოჩენილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად დაამტკიცონ კაცობრიობის ისტორიაში პირველი პროგრამა კომუნიზმისა.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შემდეგ შეეხო მოზარდი თაობის აღზრდის საკითხებს, კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა სამეცნიერო-პედაგოგიურ დაწესებულებათა მიმართ, მოუწოდა საბჭოთა საზოგადოებრიობას უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღოს სკოლის ცხოვრებაში. აღნიშნა რა, რომ აღმზრდელობით მუშაობაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ლიტერატურასა და ხელოვნებას, მან ხაზი გაუსვა, რომ ახალგაზრდობას უწინარეს ყოვლისა სჭირდება ნაწარმოებნი, რომლებიც მოუწოდებენ მას შემოქმედებითი შრომისათვის, საგმირო საქმეებისათვის, უნერგავენ მზადყოფნას — იბრძოლოს კომუნიზმის იდეალებისათვის.

კომკავშირის ისტორია პარტიის საქმისადმი ერთგული სამსახურის ისტორიაა, თქვა ამხ. პავლოვმა. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შემდეგ 1,5 მილიონზე მეტი საუკეთესო კომკავშირელი შევიდა ლენინის დიად პარტიაში. ყრილობისწინა დღეებში თითქმის 48 მილიონმა საბჭოთა ჭაბუკმა და ქალიშვილმა მიტინგებსა და კრებებზე მიიღო წერილი — ფიცი პარტიის XXII ყრილობისადმი. მათ საქვეყნოდ შეფიცეს — მთელი თავიანთი ძალღონე, ცოდნა, გონება მოახმარონ კომუნიზმის აშენებას.

ლენინური კომკავშირის 19 მილიონი წევრი, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა ყველაფერ უსაზღვროდ ერთგული იქნება პარტიის საქმისა, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავს თავის რიგებს პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. **ნ. ა. მუხიტდინოვს.**

დიდი მღელვარებით და კანონიერი სიამაყით, ამბობს ამხ. მუხიტდინოვი, მოვისმინე ნიკიტა სერგის-ძის მოხსენებები საანგარიშო პერიოდში სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმიანობისა და პარტიის პროგრამის შესახებ, რომელთა თვითეული დებულება გამსჭვალულია ლენინური სტილით, ლენინური პრინციპებით, ლენინური იდეებით. უმაგალითო შრომითი აღმავლობა, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ზრდა, ხალხთან პარტიის კავშირის შემდგომი განმტკიცება — აი რა ახასიათებს თანამედროვე ვითარებას ჩვენს ქვეყანაში.

პარტიის მეორე პროგრამაში, რომელიც მიღებულ იქნა 1919 წელს, ეროვნული ურთიერთობის დარგში დასმული იყო მშრომელთა ეროვნული შეკავშირებისა და ყველა ერის სრული თანასწორუფლებიანობის დამყარების, მათი მტკიცე და ნებაყოფლობითი გაერთიანების პირობების შექმნის ამოცანები, როგორც ნათქვამია ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში სკკპ პროგრამის შესახებ, პარტიამ გადაწყვიტა ურთულესი პრობლემა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აღელვებდა კაცობრიობას, ხოლო კაპიტალიზმის სამყაროში დღემდე ინარჩუნებს თავის სიმწვავეს, — ერთა ურთიერთობის პრობლემა.

რესპუბლიკების წარმომადგენლები, რომლებიც ამ ტრიბუნაზე გამოდიან, მკაფიოდ და დამაჯერებლად ლაპარაკობენ იმ მუშაობის შესანიშნავ შედეგებზე, რაც პარტიულმა ორგანიზაციებმა გასწიეს საანგარიშო პერიოდში. როგორია ამ წარმატებათა წყაროები, რატომ სახელდობრ უკანასკნელ წლებშია ეს წარმატებები ყველაზე მნიშვნელოვანი?

საქმე უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ პარტიამ ისტორიული XX ყრილობის დროიდან უზრუნველყო ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების გადაჭრით გაუმჯობესება, აამაღლა პარტიული და სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლის პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის დონე. ეს შესაძლებელი გახდა სტალინის პიროვნების კულტის მავნე შედეგების გადაჭრით დაძლევის, პარტიული და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ლენინური ნორმებისა და კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების აღდგენის მეოხებით.

როგორც ცნობილია, XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა მოლოტოვის, კაგანოვიჩის, მალენკოვის, ვოროშილოვის, ბულგანინის, პერვუხინის, საბუროვისა და შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფი. ისინი გამოდიოდნენ ანტილენინური მეთოდების თავგამოდებულ მომხრეებად, სურდათ დაემალათ თავიანთი პირადი დანაშაული პიროვნების კულტის პერიოდში პატიოსანი ადამიანების განადგურებისათვის.

ამხ. მუხიტდინოვი შემდეგ ამბობს, რომ როცა ფრაქციონერები გააფთრებით ილაშქრებდნენ მოკავშირე რესპუბლიკების როლის ამაღლებისა და უფლებათა გაფართოების, მათი სუვერენიტეტის განმტკიცების, სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნის წინააღმდეგ, არა მარტო ებღაუჭებოდნენ ძველს, დრომოჭმულს, არამედ არსებითად უნდობლობას უცხადებდნენ ეროვნული რესპუბლიკების კადრებს.

იმ პერიოდის ხელმძღვანელობის მანკიერმა მეთოდებმა გავლენა მოახდინა სამეურნეო ცხოვრებაზეც. ორატორი ამას ცხადყოფს მებამბეობის მაგალითით. ბამბის მთესველ რესპუბლიკებში დაშვებული იყო ეკონომიკის დარგების განვითარებაში მიზანშეუწონელი, ადგილობრივ პირობებში გაუმართლებელი პროპორციების სერიოზული დარღვევები.

პიროვნების კულტის დაგმობას, ანტიპარტიული ჯგუფის განადგურებას, რევოლუციური კანონიერების აღდგენასა და ხელმძღვანელობის მანკიერი მეთოდების ლიკვიდაციას, ხაზგასმით აღნიშნავს ამხ. მუხიტდინოვი, მთელი საბჭოთა ხალხი დიდი მოწონებით და სრული კმაყოფილებით შეხვდა.

XX ყრილობის შემდეგ პარტიამ ღრმა ანალიზი გაუკეთა საქმის მდგომარეობას ჩვენს ქვეყანაში, გამოავლინა ნაკლოვანებები და შეცდომები, შეიმუშავა თვითეული რესპუბლიკის შემდგომი ეკონომიური განვითარების გზები მათი კონკრეტული პირობების, თავისებურებებისა და საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში მათი როლის გათვალისწინებით. ხალხის სრული მოწონებით და აქტიური მონაწილეობით პარტიამ მიიღო სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ორგანიზაციული, ეკონომიური და ტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც უშუალოდ შეეხებოდა მებამბეობას. ამასთან ერთად გულდასმით იქნა განხილული და გადაჭრილი მებამბეობის აღმავლობის სპეციფიკური პრობლემები.

მიღებულ ღონისძიებათა შედეგად, აღნიშნავს ნ. ა. მუხიტდინოვი, უკანასკნელ შვიდ წელიწადში ბამბის ნათესი ფართობი ჩვენს ქვეყანაში გაიზარდა 400 ათასი ჰექტარით, ხოლო ბამბის წლიური წარმოება გადიდდა 800 ათასი ტონით. ამასთან ბამბის მთესველ რესპუბლიკებში მატყლის, ხორცისა და რძის წარმოება გაიზარდა ერთნახევარჯერ-ორჯერ.

ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაში პარტიის ეროვნული პოლიტიკის წარმატებით განხორციელებაში, განაგრძობს ორატორი, გადამწყვეტ როლს ასრულებდა და ასრულებს რუსი ხალხი. დიდმა რუსმა ხალხმა — პირველმა თანასწორთა შორის — თავისი რევოლუციური ტრადიციებით, მეცნიერებისა და კულტურის საგანძურებით დაიმსახურა ყველა საბჭოთა ერის სიყვარული და ღრმა პატივისცემა. ტყუილად კი არ უწოდებენ ისინი რუს ხალხს თავიანთ უფროს ძმას. მისი ისტორიული დამსახურება უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ სწორედ რუსეთის პროლეტარიატის წიაღში ჩაისახა ბოლშევიკების დიადი მარქსისტულ-ლენინური პარტია, რომელიც თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე უაღრესად ინტერნაციონალური გახდა, თავის რიგებში გააერთიანა ჩვენი ქვეყნის ყველა ერის საუკეთესო წარმომადგენლები, პარტია, რომელმაც საბჭოთა ხალხი მიიყვანა მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე და პირველმა გაკაფა კომუნიზმის მთავარი გზა.

ეროვნული ურთიერთობის განვითარების ახალი ეტაპი, მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის უმაგალითო აღმავლობა, ამბობს ამხ. მუხიტდინოვი, მოითხოვს კადრების ინტერნაციონალური აღზრდისადმი პარტიული ორგანიზაციების ყურადღების გაძლიერებას. ჩვენს ქვეყანაში მთლიანად ლიკვიდირებულია ყოველგვარი საფუძველი ნაციონალიზმისა და შოვინიზმისათვის. მაგრამ ჯერ კიდევ გამორიცხული არ არის ამგვარი გადმონაშთების რეციდივები ცალკეულ პირებში. კომუნისტების მოვალეობაა თავიდან აიცილონ და გადაჭრით აღკვეთონ შოვინიზმის, ეროვნული ეგოიზმისა და შეზღუდულობის, ავტარკიისადმი, კუთხურობისადმი მისწრაფების ყოველგვარი გამოვლინება.

საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების ისტორიული წარმატებანი, მათი ერთიანობა და შეკავშირება გულწრფელად ახარებს მსოფლიოს ყველა პატიოსან ადამიანს. ამ ფონზე ალბანეთის ახლანდელ ხელმძღვანელთა ანტიმარქსისტული საქციელი ჭუჭყიან ლაქად მოჩანს.

თქვენ იცით, რომ ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით 1959 წლის მაისში ალბანეთს ესტუმრა ჩვენი პარტიისა და მთავრობის დელეგაცია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით. ამ დელეგაციის შემადგენლობაში მეც ვიყავი, მახსოვს, როგორ ფიცულობდნენ მეგობრობას საბჭოთა ხალხთან, აღტაცებული იყვნენ საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის წარმატებებით და მთლიანად იწონებდნენ მას ხოჯა, შეჰუ და ალბანეთის შრომის პარტიის სხვა ხელმძღვანელები პირად საუბრებში და ხალხმრავალ მიტინგებზე. ახლა კი იგივე ადამიანები უსინდისოდ სწამებენ ცილს ჩვენი პარტიის გენერალურ ხაზს, სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებს. ახლა უკვე ცხადია, რომ, როცა ისინი ლაპარაკობდნენ მარადიულ მეგობრობასა და ძმობაზე, იმაზე, რომ ალბანეთის შრომის პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთიანობა იარსებებს იმდენ ხანს, რამდენსაც იდგება ალბანეთის მთები, ისინი ორპირობდნენ, ატყუებდნენ ალბანელ ხალხს, საბჭოთა ადამიანებს, ზურგსუკან ქვა ეჭირათ. განა ეს კომუნისტის მორალია? ასე შეიძლება მოიქცნენ მხოლოდ უპატიოსნო ადამიანები რომლებსაც არაფერი წმიდა არ გააჩნიათ.

პარტიის XX ყრილობაზე, განაგრძობს ორატორი, ამხ. ხრუშჩოვმა თქვა: „ახლა უკვე დღის წესრიგშია დასმული, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და საჭირბოროტო საკითხი, კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემის სრული ლიკვიდაციის საკითხი". საგულისხმოა, რომ სწორედ ჩვენი პარტიის ყრილობის ტრიბუნიდან გაისმა მგზნებარე მოწოდება — სამუდამოდ მოეღოს ბოლო კოლონიალიზმს.

უკანასკნელ წლებში აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრმა ქვეყანამ მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, დაადგა დამოუკიდებელი ეროვნული განვითარების გზას. ახორციელებენ რა პოზიტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკას, ისინი სულ უფრო აქტიურ როლს ასრულებენ საერთაშორისო საქმეებში, ხდებიან მშვიდობის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი, აშენებენ ახალ, თავისუფალ ცხოვრებას. მაგრამ კოლონიალიზმის ნაშთები და ბევრი მძიმე შედეგი ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული. ჩაგრული ქვეყნების ხალხთა დამოუკიდებლობის სამართლიან მოთხოვნებს კოლონიზატორები უპასუხებენ გამანადგურებელი ომებით, სასტიკი ტერორით, მთელი რაიონების განადგურებით აფრიკასა და მსოფლიოს სხვა ნაწილებში. ხალხები საკუთარი გამოცდილებით სულ უფრო მეტად რწმუნდებიან, რომ იმპერიალიზმს არასოდეს ნებაყოფლობით არ დაუთმია და არ დათმობს თავის პოლიტიკურ, ეკონომიურ და სხვა პოზიციებს.

თანამედროვე კოლონიალიზმის მთავარი ბურჯია ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიები. ამერიკის შეერთებული შტატები თავიანთ სამხედრო ბაზებზე დაყრდნობით ცინიკურად ერევიან სხვა ხალხების საშინაო საქმეებში. ისინი მეთაურობენ ნატოს, სენტოს, სეატოს აგრესიულ სამხედრო ბლოკებს, რომლებიც სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ მათ საერთო მიმართულებასთან ერთად, გამოდიან როგორც კოლექტიური კოლონიალიზმის ორგანოები. იმპერიალისტური მონოპოლიები ყოველნაირად უკეთებენ რეკლამას თავიანთ „ეკონომიურ დახმარებას" სუსტად განვითარებული ქვეყნებისადმი. მაგრამ ვინ არ იცის, თუ რა „დახმარებაა" ეს? იგი არსებითად სხვა არა არის რა, თუ არა ეკონომიური ექსპანსია, ზღაპრული მოგების წყარო, და მას აშკარა მილიტარისტული, მძარცველური ხასიათი აქვს. ტყუილად კი არ ადარებდა ერთი დიდი აზიელი მეცნიერი ამერიკის „დახმარებას" თაფლს, რომელსაც ქილის გარეთა მხრიდან ალოკინებენ.

აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი რაც შეიძლება მალე დაასამარონ კოლონიალიზმი მთელი მისი ატრიბუტებიანად. ისინი შეჰყურებენ იმ სამყაროს, რომელიც თვით თავისი ბუნებით ვერ ურიგდება კოლონიალიზმს, — შეჰყურებენ სოციალიზმის სამყაროს. საბჭოთა კავშირის, ყველა სოციალისტური ქვეყნის ყოველმხრივი დახმარება და მხარდაჭერა ის დიადი ძალაა, რომელსაც შეიძლება საიმედოდ დაეყრდნონ ხალხები თავიანთი ეროვნული ეკონომიკის შექმნაში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, იმპერიალისტ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ანტიკოლონიურმა რევოლუციებმა აამოძრავეს განთავისუფლების გზაზე დამდგარი ქვეყნების ყველა კლასი და სოციალური ფენა. მათ ცხოვრებაში საგულისხმო ფაქტია მუშათა კლასის განუხრელი ზრდა, ხალხის მასების პოლიტიკური და ეროვნული თვითშეგნების აღმავლობა. ეს გამოხატულებას პოულობს უწინარეს ყოვლისა კომუნისტური და მუშათა პარტიების რიგების გაფართოებით და მათი გავლენის გაძლიერებით, რომლებიც ამჟამად აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის 48 ქვეყანაში მოქმედებენ. კომუნისტები ერების სხვა პატრიოტულ, პროგრესულ ძალებთან ერთად დგანან ანტიიმპერიალისტური, ანტიფეოდალური რევოლუციის ბოლომდე მიყვანისათვის, ეროვნული დემოკრატიის სახელმწიფოთა შექმნისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ავანგარდში. კომუნისტების მიზნები ყოველთვის და ყველგან სავსებით შეესაბამება ერის უმაღლეს ინტერესებს.

თავის სიტყვაში ამხ. მუხიტდინოვმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო საბჭოთა სკოლის ამოცანებს, რომელსაც, ამბობს იგი, უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნის კომუნისტური საზოგადოების ახალი ადამიანის ფორმირებაში.

მთელი დედამიწის ადამიანთა მრავალი თაობა, ამბობს დასასრულ ნ. ა. მუხიტდინოვი, დიდი ხანია ოცნებობდა ბედნიერ ცხოვრებაზე, უაღრესად სამართლიან საზოგადოებაზე. სკკპ ახალი პროგრამა სახავს ამ ოცნების განხორციელების რეალურ და კონკრეტულ გზას. პარტიამ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს. ეს დიდებული სიტყვები საბჭოთა ადამიანისათვის — შემოქმედისათვის შთაგონების დაუშრეტელი წყაროა. ისინი მძლავრ სტიმულს აძლევენ სხვა ქვეყნების ასეულ მილიონობით ადამიანს, რომლებიც იბრძვიან უკეთესი მომავლისათვის.

გულითადი, მღელვარე სიტყვა წარმოთქვა მწერალმა **მ. ა. შოლოხოვმა.**

თითქოს ახალმა გამაბრწყინებელმა სიომ დაბერა, გადაგვიშალა შორეული წარმტაცი სივრცეები, თქვა მან. დიდებული და კეთილშობილურია პარტიის პროგრამა, რომელიც მთელი თავისი შინაარსით, არსით ემსახურება მშრომელი კაცობრიობის ბედნიერებასა და სიხარულს!

როგორ არ უნდა ვუთხრა გულითადი მადლობა იმათ, ვინც მუშაობდა ამ პროგრამის შესაქმნელად, იმათ, ვინც ხალხის ოცნება და დიდი ხნის იმედები ზუსტად დასახულ ამოცანად განასახიერა, ლენინურად განჭვრიტა ჩვენი ახლო და შორეული, მაგრამ ასე სანუკვარი მომავალი! უწინარეს ყოვლისა როგორ არ უნდა ვუთხრა ასეთი მადლობა პროგრამის მთავარ შემოქმედს, ჩვენს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს.

როცა წარმოიდგენ, თუ რა ძალი, რა განახორციელა ჩვენმა ძლევამოსილმა პარტიამ და კიდევ რა უნდა განახორციელოს, ჭეშმარიტად აღტაცებას განიცდი, მართლაც რა შესანიშნავია!

ჩვენ ყველამ, განაგრძო ამხ. შოლოხოვმა, ვიცით, რომ კომუნიზმის მაღალ მწვერვალზე ასვლა მოგვიმზადა ისტორიამ. კარგად ვიცით ისიც, რომ დროდადრო გაგვიძნელდება ამ გზაზე, ბევრჯერ პირი გაგვიშრება დაძაბულობისაგან. რაც შეეხება ძნელ გზას, იგი არათუ ძნელია, არამედ საპატიო და დიადია თავისი ნამდვილად მსოფლიო მნიშვნელობით, ისევე დიადია, როგორც მიზანი, რომლისკენაც მივდივართ. მაგრამ დიდ ხალხს ხომ დიდი გზა აქვს, როგორც დიდ ხომალდს — დიდი სივრცე ცურვისათვის! ჩვენ მივაღწევთ კომუნიზმს, მიუხედავად მტრების ყველა ხრიკისა, მიუხედავად ურწმუნოთა გულის გამაწვრილებელი წუწუნისა. ამის საწინდარია ის, რომ მომავლის გზას იკვლევს შრომასა და სამხედრო საქმეში ჩვენი დიდებული ხალხის ათმილიონიანი კომუნისტური ავანგარდი!

ჩვენ, კომუნისტები, ხაზგასმით აღნიშნა მწერალმა, შეგვასისხლხორცა მარქს-ენგელს-ლენინის იდეამ, რომლისთვისაც სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძვის კომუნისტური პარტია, და ჩვენთვის არაფერია იმაზე უფრო წმიდა, ვიდრე პარტიული ამხანაგობა.

ორატორმა გულისწყრომით ილაპარაკა იმათზე, ვინც ფეხქვეშ გათელა პარტიული ამხანაგობის მაღალი წმიდა გრძნობა, — ფრაქციონერებზე. ახლა ყრილობაზე, განაცხადა ამხ. შოლოხოვმა, ჩვენთვის ცნობილი გახდა მათი დანაშაულებრივი საქმიანობის ახალი დეტალები. თავისთავად ისმება კითხვა: სანამდე ვიდგებით პარტიის რიგებში იმათ მხარდამხარ, ვინც ამდენი გამოუსწორებელი ბოროტება მიაყენა პარტიას? ყრილობა პარტიის უმაღლესი ორგანოა, დაე მან გამოიტანოს თავისი მკაცრი, მაგრამ სამართლიანი გადაწყვეტილება ფრაქციონერთა და განდგომილთა მიმართ.

შეიძლება ვივარაუდოთ, დასძინა მწერალმა, რომ ბურჟუაზიული პრესა აყაყანდება: დახეთ, რანი არიან კომუნისტი მწერლები, იმის ნაცვლად, რომ გამოავლინონ მათი პროფესიისათვის დამახასიათებელი ჰუმანიზმი, ისინი მოუწოდებენ შურისგებისათვის. ამაზე შემიძლია წინასწარ ვუპასუხო მოსყიდულ მჯღაბნელებს: „დამშვიდდით, ბატონო უკეთურნო, არავინ არ ფიქრობს შურისგებაზე, არავის არ სწყურია ინტრიგებით მოწამლული ფრაქციონერთა სისხლი, მაგრამ ხალხისა და პარტიის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის მათ პასუხი უნდა აგონ და კიდევაც აგებენ. ასეთია საერთო საკაცობრიო კანონი".

მიხეილ შოლოხოვმა ილაპარაკა საბჭოთა ლიტერატურის წინაშე დასახულ დიდ კეთილშობილურ ამოცანებზე და აღნიშნა, რომ საბჭოთა ლიტერატურაც საერთო პარტიული საქმის ნაწილია. მან თქვა, რომ დრამატურგები და პროზაიკოსები ახლა ბევრ პიესასა და წიგნს უძღვნიან თანამედროვე თემებზე. მაგრამ ჯერ კიდევ ცოტაა ისეთი ნაწარმოები, რომელიც მაყურებლებსა და მკითხველებს დაამახსოვრდება. ორატორმა ამასთანავე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა ხდება მკითხველისათვის ნაკლებ შესამჩნევი, მაგრამ მეტად სასიხარულო მოვლენა: ახალგაზრდა, ნამდვილად ნიჭიერ მწერალთა მთელი პლეადა, რომლებიც წინათ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მოთხრობებით იყვნენ ცნობილი, სიტყვის მოწიფული და მეტად იმედის მომცემი ოსტატები ხდებიან. ეს დამახასიათებელია არა მარტო რუსული, არამედ ყველა ეროვნული ლიტერატურისათვის. ამ მწერლებს ყოველი ღონისძიებით უნდა დავეხმაროთ. ასეთი მწერლების რიცხვი მნიშვნელოვნად გამრავლდება, თუ ჩვენ დავეხმარებით არა მარტო დედაქალაქის მწერლებს, არამედ პროვინციელ მწერლებსაც.

იმის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად, რომ ჩვენი ლიტერატურა ჩამორჩება ცხოვრებას, განაცხადა ორატორმა, და მდარე ნაწარმოებთა შექმნის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად წინანდებურად მიმაჩნია ის, რომ მწერლების წრე მოწყვეტილია ცხოვრებას, ზერელედ იცნობს სინამდვილეს, რომელიც სწრაფად ვითარდება და მუდამ იცვლის სახეს. ჩემი აზრით, მწერალი, რომელიც წერს კოლმეურნეების ან საბჭოთა მეურნეობის მშრომელთა შესახებ, უნდა იცნობდეს სოფლის მეურნეობას ისე მაინც, როგორც უბნის აგრონომი. ის, ვინც წერს მეტალურგიული ქარხნის შესახებ, ქარხნის მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების შესახებ, უნდა იცნობდეს წარმოებას ისე მაინც, როგორც მაღალი კვალიფიკაციის მუშა. ყველამ, ვინც თავის შრომას ჩვენს არმიას უძღვნის, უკეთესად უნდა იცოდეს სამხედრო საქმე არანაკლებ, ვიდრე კუპრინმა და ლევ ტოლსტოიმ, თორემ უზრუნველყოფილი იქნება სრული უმეცრების გამოჩენა.

მაგრამ რაც უნდა იყოს, განაგრძო ორატორმა, ჩვენი ლიტერატურა მოწინავეა, და არა მარტო იდეური შინაარსით. მტკიცდება ჩვენი ურთიერთობა საზღვარგარეთის გამომცემლობებთან. ჩვენი მწერლების წიგნები ყველგან გამოდის საზღვარგარეთ. მათ კითხულობენ, მათი შინაარსი იტაცებს მკითხველს, რადგან მეტად დიდია საზღვარგარეთის ქვეყნებში ინტერესი ჩვენი ცხოვრებისადმი, ჩვენი ახლანდელი სინამდვილისადმი.

ჩვენ, თქვა დასასრულ მიხეილ შოლოხოვმა, უნდა ვიბრძოლოთ ბევრი რამისათვის და, როგორც მგონია, უწინარეს ყოვლისა ჩვენს ახალგაზრდობაზე ზრუნვისათვის. ჩვენ თავიდან უნდა ავაცილოთ ამ ახალგაზრდობას უცხოური ზეგავლენა, შევაჩვიოთ შრომასა და გმირობას ჩვენს ძნელ ხანაში. მარტოოდენ ეს პრობლემა როდი დგას მწერლების წინაშე დღეს და იდგება ხვალ. საბჭოთა ოჯახი, ახალი ადამიანის მორალური სახე, ჩვენი ხალხის ტიტანური შრომა, — ყოველივე ეს მოითხოვს მხატვრულ განსახიერებას, ყოველივე ეს ჩვენგან გადაჭრით მოითხოვს შევქმნათ სრულფასოვანი დიდი ნაწარმოებნი.

მე ის მინდა, აღტაცებით შესძახა მიხეილ შოლოხოვმა, რომ მწერალს სისხლი უჩქეფდეს, როცა წერს, ის მინდა, რომ მისი სახე გაფითრდეს მტრისადმი თავშეკავებული სიძულვილით, როცა იგი წერს მის შესახებ, და რომ მწერალმა იცინოს და იტიროს გმირთან ერთად, რომელიც მას უყვარს და რომელიც მისთვის ძვირფასია.

მე ვთხოვ იმათ, ვინც ანათებს თავისი შრომით, არ დაივიწყონ, რომ ისინი მარტო თავიანთი პროფესიის ან სპეციალობის ადამიანებს როდი უნათებენ. მეცნიერების, ტექნიკის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის „შუქურები" ჩვენთვისაც, ხელოვნების მუშაკებისთვისაც ანათებენ. და ჩვენ ერთგვარი შურით შევცქერით მათ, რადგანაც ჩვენი შემოქმედებით ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ იმას, რასაც მათ მიაღწიეს. მაგრამ მათი ცეცხლის მგზნებარება ჩვენც გვხვდება და გვათბობს. დიდი, გულითადი მადლობა იმათ, ვინც ანათებს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტში, რომელიც წარმოდგენილია ყრილობის დასამტკიცებლად, თქვა ლატვიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ა. ი. პელშემ, პარტია საქვეყნოდ აცხადებს: ჩვენ გვაქვს ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ უახლოეს 20 წელიწადში შევქმნათ კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უზრუნველვყოთ საბჭოთა კავშირში ყველაზე მაღალი ცხოვრების დონე ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანასთან შედარებით.

ლატვიის რესპუბლიკის მშრომელებმა პარტიის გრანდიოზული გეგმები, რომლებიც ჩამოყალიბებულია პროგრამის პროექტში, მიიღეს როგორც თავიანთი ცხოვრების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანა და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთელი თავიანთი ძალღონე მოახმარონ მის განხორციელებას. ლატვიელი ხალხი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, განუყოფლად უჭერს მხარს კომუნისტური პარტიის პოლიტიკას — შორსმჭვრეტელსა და ბრძნულს, გაბედულსა და მტკიცეს.

ჩვენმა პარტიამ უდიდესი მუშაობა განახორციელა პიროვნების კულტის მავნე შედეგების წინააღმდეგ, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში. ჩვენი დიადი გამარჯვებების ფონზე უბადრუკი და არარაა ფრაქციონერთა საზიზღარი ჯგუფის — მოლოტოვის, მალენკოვის, კაგანოვიჩისა და სხვათა ცდები — აეცდინათ ჩვენი პარტია ლენინური გზიდან. ისინი საბოლოოდ გაკოტრდნენ და ისტორიის სანაგვეზე აღმოჩნდნენ. სამართლიანი იქნებოდა გაგვეტანა ეს ნაგავი ჩვენი პარტიული სახლიდან.

ახლა ჩვენი პარტია უფრო ერთიანი და მონოლითურია, ვიდრე ოდესმე, მჭიდროდ შეკავშირებულია თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ამხ. პელშემ ილაპარაკა რესპუბლიკის აყვავებაზე, იმაზე, რომ ლატვია დასავლეთის იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრარული დანამატიდან გადაიქცა დამოუკიდებელ, თავისუფალ, აყვავებულ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო რესპუბლიკად. საბჭოთა წყობილების პირობებში მშვიდობიანი მშენებლობის წლებში სამრეწველო წარმოების მოცულობა 12-ჯერ გაიზარდა, მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში კი — 80-ჯერ. წელს ლატვიის მრეწველობა ყოველთვიურად უშვებს იმდენ პროდუქციას, რამდენსაც მთელ ომამდელ — 1940 წელს უშვებდა. ჩვენ შეგვიძლია მოვახსენოთ XXII ყრილობას, განაცხადა ა. ი. პელშემ, რომ ლატვიის მრეწველობა მიმდინარე წელს საშვიდწლედო მისცემს იმდენ პროდუქციას, რამდენიც დაგეგმილი იყო 1963 წლისათვის.

რადიოელექტრონული მრეწველობის უსწრაფესი განვითარებისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა წარმოების გადიდების მიზნით ამხ. პელშეს საჭიროდ მიაჩნია განხორციელდეს რესპუბლიკის რადიოტექნიკურ საწარმოთა სპეციალიზაცია. ჩვენ გვგონია მიზანშეწონილი იქნება რადიოლებისა და რადიომიმღებების წარმოებას თავი მოვუყაროთ რიგის ა. ს. პოპოვის სახელობის რადიოქარხანაში. უნდა ავაშენოთ ტელეფონის აპარატურის სპეციალიზებული ქარხანა. იმისათვის, რომ უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ სარეწაო ფლოტილიები, მცურავი ბაზები, აგრეთვე ნავსადგურები, გემთსაკეთებელი საწარმოები და თევზგადამამუშავებელი ქარხნები, გავაუმჯობესოთ მომარაგება და ავითვისოთ თევზჭერის ახალი რაიონები, მიზანშეწონილია შეიქმნას საბჭოთა კავშირის ჩრდილო-დასავლეთი აუზის თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველო.

საკმაოდ მტკიცედ მიდის წინ ლატვიის შედარებით ახალგაზრდა საკოლმეურნეო სოფელი, თქვა ამხ. პელშემ. უკანასკნელ ხუთ წელიწადში მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების პროდუქტების საერთო წარმოება ჩვენში 61 პროცენტით გაიზარდა.

ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს რესპუბლიკაშიც გაიზარდა ტექნიკური და შემოქმედებითი ინტელიგენციის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის თავდადებულ მშრომელთა მრავალრიცხოვანი კადრები. 150 ათასზე მეტი კაცი, ანუ მრეწველობის ყოველი მესამე მუშაკი, მონაწილეობს შეჯიბრებაში კომუნისტური შრომისათვის. ლატვიის სოფელში ასობით და ათასობით მოწინავე ადამიანი — წარმოების რევოლუციონერი თავისი ნოვატორობით გზას უკაფავს სასოფლო-სამეურნეო შრომის ნაყოფიერების ამაღლებას.

ლატვიის პარტიული ორგანიზაცია, განაცხადა ამხ. პელშემ, სავსებით და მთლიანად იწონებს და მხურვალედ უჭერს მხარს პოლიტიკასა და პრაქტიკულ საქმიანობას, რომელსაც ეწევა ლენინური ცენტრალური კომიტეტი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით.

ჩვენ ყველანი დიადი, ისტორიული მოვლენის მონაწილენი ვართ, თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოკავშირე რესპუბლიკათა პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. ლ. თ. **ილიჩოვმა.** ჩვენი ლენინური პარტიის XXII ყრილობა ახალ მკაფიო, შთაგონებულ ფურცელს შლის კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში! — ამბობს იგი. დღეს სოციალიზმის მოწინააღმდეგენიც კი იძულებული არიან აღიარონ, რომ ჩვენი პარტიის ახალი პროგრამის იდეები უდიდეს გამარევოლუციურებელ ზემოქმედებას ახდენენ მსოფლიოს ბედზე.

ჩვენი პარტია ისტორიული განვითარების ახალ ეტაპზე შედის. იგი მესამეჯერ განსაზღვრავს თავის პროგრამულ სტრატეგიულ ამოცანებს. ახალი პროგრამის ყველაზე თვალსაჩინო ნიშანი ის არის, რომ მასში პირველად შემუშავებულია კომუნიზმის აშენების მეცნიერულად დასაბუთებული, კონკრეტული სამუშაო გეგმა, განსაზღვრულია ვადები, მოცემულია ზუსტი ეკონომიური გაანგარიშებანი, დასახულია კომუნიზმის აშენების ამოცანების გადაჭრის გზები. ახალი პროგრამის შექმნა იმის მკაფიო დადასტურებაა, რომ შემოქმედებითი მარქსისტულ-ლენინური აზროვნების ნამდვილი ცენტრია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, პრეზიდიუმი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის მეთაურობით.

შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის ეს შესანიშნავი დოკუმენტი, განაგრძობს ამხ. ილიჩოვი, — ახალი თავია მეცნიერული კომუნიზმის თეორიაში. და რა უბადრუკი და სასაცილოა სხვადასხვა ჯურის რევიზიონისტთა და დოგმატიკოსთა ცდები ბრალად დასდონ ჩვენს პარტიას შიშველი პრაქტიციზმი, თეორიის შეუფასებლობა. ყველა, ვისაც თვალი აქვს, ხედავს, რომ ჩვენს პარტიას მაღლა უჭირავს შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# ლენინის პარტია ხალხს ემსახურება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საერთაშორისო ცხოვრება

ვარშავა. (საკდესი). პოლონელი მშრომელები უდიდეს ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისადმი. მშრომელები თავიანთ გრძნობასა და ფიქრს ისტორიული ყრილობის შესახებ გამოხატავენ წერილებში, რომლებიც ქვეყნდება პოლონურ გაზეთებში.

ჩვენ, წერს გ. კორჩინსკი, სულითა და გულით ვართ საბჭოთა კავშირთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და XXII ყრილობასთან. საბჭოთა ხალხის წარმატებანი და ბედნიერება მიგვაჩნია ჩვენი სოციალისტური პოლონეთისა და მთელი კაცობრიობის აყვავებად.

ყრილობისწინა მასალები, ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებანი და ყრილობაზე წარმოებული კამათი, აღნიშნავს ზ. ჰოფმანი, კიდევ ერთხელ უდიდესი ძალით ეუბნებიან მთელ მსოფლიოს: ლენინის პარტია და სახელმწიფო, რომელსაც ეს პარტია ხელმძღვანელობს, ემსახურებიან ხალხს, ემსახურებიან მშვიდობას, ემსახურებიან კაცობრიობას.

ძველი კომუნისტი ა. იასტშემბსკი აცხადებს: სკკპ XXII ყრილობა, რომელიც მიიღებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროგრამას, მთელი მსოფლიოს ხალხთა მასებს აღაფრთოვანებს შემდგომი გაძლიერებული ბრძოლისათვის კაპიტალიზმის წინააღმდეგ, იმისათვის, რომ მოისპოს კოლონიალიზმი და აღმოიფხვრას ომი საერთაშორისო ურთიერთობაში.

კომუნისტური იდეის ღრმა ჰუმანური შინაარსი, წერს ტ. ოლხოვი, განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატება XXII ყრილობის მუშაობით. მე ამ ყრილობას კიდევ ვუწოდებდი კომუნისტური აღზრდის მასწავლებელთა ყრილობას. განსაკუთრებით რა მესიამოვნება, თუ ვილაპარაკებთ საკითხებზე, რომლებსაც ყრილობა განიხილავს? ეს არის ის ფაქტი, რომ ყრილობის ყურადღების ცენტრში ადამიანია. კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დაწვრილებითი გეგმა, კომუნისტის წოდების ღირსი ადამიანის აღზრდა, ადამიანისა, რომელიც ახალ მსოფლიოს აშენებს, — ასეთი ამოცანების განხორციელება შეუძლიათ მხოლოდ საბჭოების დიადი ქვეყნის ადამიანებს, სადაც უკვე გაიმარჯვა სოციალისტურმა წყობილებამ.

## „მძლავრი იარაღი..."

**ბერლინი,** 24 ოქტომბერი. (საკდესი). ათასობით დასავლეთგერმანელმა მოქალაქემ გაიგო სიმართლე სკკპ პროგრამის პროექტის შესახებ გაზეთ „ფროიეს ფოლკის" (გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უკანონოდ აკრძალული გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო) მეოხებით. ნომერში, რომელსაც ამ დღეებში ავრცელებდნენ დასავლეთ გერმანიაში, გაზეთმა გამოაქვეყნა დაწვრილებითი ამონაწერები სკკპ პროგრამის პროექტიდან და წესდების პროექტიდან.

კომენტარს უკეთებს ამ დოკუმენტებს სარედაქციო სტატიაში, გაზეთი „ფროიეს ფოლკი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სკკპ ახალი პროგრამა გადამწყვეტ როლს შეასრულებს მონოპოლისტური კაპიტალის დამცველთა წინააღმდეგ იდეოლოგიურ ბრძოლაში.



სურათზე: რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ ბუქარესტის მცხოვრებნი გაზეთებით, რომლებშიც გამოქვეყნებულია სკკპ XXII ყრილობის მუშაობის მასალები.
ფოტო აჯერპრესისა.

## ტელეგრაფი გვატყობინებს

◆ **პარიზი,** 24 ოქტომბერი. (საკდესი). პარიზის ობსერვატორიის დირექტორმა დანჟონმა დაგმო ამერიკელების მიერ ხელოვნური თანამგზავრის გაშვება, რომელმაც კოსმოსურ სივრცეში მილიონობით ლითონის ნემსი გაფანტა, და ფრანსპრესის სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ ეს „მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს რადიოასტრონომიას".

„ნემსების ეს სარტყელი დაარღვევს კავშირს კოსმონავტსა და დედამიწას შორის, — ხაზგასმით აღნიშნავს სააგენტო „უნიონ ფრანსეზ დ' ენფორმასიონი". — ალბათ ეს გარემოება ხელს ვერ შეუშლის ამერიკელებს, რომლებსაც ჯერ არ ძალუძთ კოსმოსში გაგზავნონ კოსმოსური ხომალდები ადამიანით"...

◆ **ულან-ბატორი,** 25 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც მონცამეს სააგენტო იუწყება, მონღოლეთის მშრომელნი საწარმოო წარმატებებით გამოხატავენ თავიანთ სოლიდარობას სკკპ XXII ყრილობისადმი — კომუნიზმის პირველმშენებელთა ყრილობისადმი. რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივები და მუშები ისტორიული ყრილობის აღსანიშნავ შრომით ვახტზე დადგნენ.

ქალაქ ულან-გომის (უბსანურის აიმაკი) სამრეწველო საწარმოთა მუშების გაერთიანებულ კრებაზე გადაწყდა ყრილობის დღეები გამოაცხადონ დამკვრელური მუშაობის დღეებად და 110-120 პროცენტით შეასრულონ საწარმოო ნორმები. ამ ვალდებულებას ახლა წარმატებით ასრულებენ.

# კომუნისტი სპორტი

## საკავშირო პირველობა ჩოგბურთში

**თბილისის** კორტებზე ორი დღეა გრძელდება სსრ კავშირის გუნდური პირველობის გათამაშება ჩოგბურთში.

პირველ დღეს საქართველოს გუნდმა ანგარიშით 15:0 დაამარცხა ყირგიზეთის გუნდი და მეოთხედფინალში გავიდა. დანარჩენი გუნდების შეხვედრათა შედეგი ასეთია: ლიტვა-აზერბაიჯანი 12:11, ლენინგრადი-სომხეთი 16:1, მოლდავეთი-რსფსრ 1:14, ესტონეთი-ყაზახეთი 16:0, უზბეკეთი-უკრაინა 1:15, ბელორუსია-ლატვია 14:5.

გუშინ გაიმართა მეოთხედფინალური მატჩები. საქართველოს გუნდმა დაამარცხა ბელორუსიის გუნდი და ნახევარფინალში გავიდა.

შეჯიბრება გრძელდება.

## რუმინეთის „პეტროლული" თბილისში

**საბჭოთა** კავშირში ტურნეს მართავს რუმინეთის ქ. პლოეშტის ფეხბურთელთა საკლუბო გუნდი „პეტროლული". დღემდე სტუმრებმა გამართეს სამი შეხვედრა, საიდანაც მოიგეს 1 და 2 წააგეს.

24 ოქტომბერს რუმინელი ფეხბურთელები თბილისს ეწვიენ. დღეს ისინი შეხვდებიან ადგილობრივ „დინამოს".

## წყალბურთელთა დასკვნითი ტურნირი

**დღეს** მოსკოვში დაიწყება სსრ კავშირის პირველობის გათამაშების დასკვნითი ტურნირი წყალბურთში. უძლიერესთა შეჯიბრებაში გამოდის 8 კოლექტივი. ესენი არიან თბილისის „დინამო", სამხედრო-საზღვაო ფლოტის გუნდი, მოსკოვის „დინამო", მოსკოვის „ბურევესტნიკი", ლენინგრადის „ბალტიკა", ლვოვის „დინამო", რსფსრ „ტრუდი", ბაქოს კკფ.

დღეისათვის გათამაშების ლიდერია თბილისის „დინამო", რომელსაც 6 ქულა აქვს. მოსკოვში თბილისელები შეხვდებიან: 26 ოქტომბერს — ბაქოს კკფ-ს, 27 ოქტომბერს — ლვოვის „დინამოს", 28 ოქტომბერს — ვმფ-ს, 29 ოქტომბერს — მოსკოვის „დინამოს".

## „შახტიორი" — ფინალში

**გუშინ** მოსკოვში შედგა სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ სტალინოს „შახტიორისა" და ლენინგრადის „ადმირალტეეცის" გუნდები. მატჩის შედეგია 3:0 „შახტიორის" სასარგებლოდ.

ამრიგად, სტალინოს „შახტიორი" ფინალში გავიდა.

## უცხოეთის სტადიონებზე

◆ ვარშავაში შედგა მორიგი საერთაშორისო ასპარეზობა კლასიკურ ჭიდაობაში სსრ კავშირისა და პოლონეთის გუნდებს შორის. შეჯიბრება საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობით აღინიშნა და დამთავრდა მათივე სასარგებლოდ ანგარიშით 6,5:1,5.

◆ საბჭოთა მძლეოსნები წარმატებით გამოდიან იაპონიაში. აქ გამართულ საჩვენებელ გამოსვლაში მსოფლიოს რეკორდსმენმა ბრუმელმა სიმაღლეზე ხტომაში აჩვენა 2 მეტრი და 15 სანტიმეტრი.

## ჩემპიონები მაგიდის ჩოგბურთში

**თბილისი.** ვ. ი. ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში დამთავრდა საქართველოს პირველობის გათამაშება მაგიდის ჩოგბურთში.

ქალთა შორის პირად ასპარეზობაში ჩემპიონი გახდა ბათუმელი ს. პარფინიდი. მომდევნო საპრიზო ადგილები დაიკავეს მ. ქვათაძემ (თბილისი) და ლ. ავალიანმა (ბათუმი).

შეუპოვრობით გამოირჩეოდა ვაჟთა ასპარეზობა. აქ ქულათა თანაბარი რაოდენობა შეაგროვეს თბილისელებმა თ. რამაზაშვილმა და ა. არუთინოვმა. მათ შორის დამატებით შეჯიბრებაში გაიმარჯვა (2:0) თ. რამაზაშვილმა.

ვაჟთა წყვილებში უძლიერესი აღმოჩნდნენ ვ. ბელიაკოვი და ს. სარხოიანი, გოგონათა შორის — ს. პარფინიდი და ჟ. ხურშუდიანი, შერეულ წყვილებში — ს. პარფინიდი და ს. სარხოიანი.

რედაქტორის მოადგილე
გ. ვარდოსანიძე.

**26 ოქტომბერი**

**ტელევიზია:** 12.00 — ოპერეტა „ტრემბიტა", 18.00 — ახალი ამბები, 18.10 — გადაცემა მოსწავლეთათვის. „თქვენი საყვარელი მწერალი" — არკადი გაიდარი, 18.50 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის, 19.05 — საუბარი — „ფიზიკური და გონებრივი შრომის საკითხი კომუნიზმის დროს", 19.20 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 19.50 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 20.10 — ახალი ამბები, 20.25 — მხატვრული ფილმი „მიყვარხარ, ცხოვრებავ"! მხატვრული ფილმის შემდეგ ახალი ამბები.

უე 04084

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.